

საბჭოთა სელოვნება

ISSN 0132-1307



1979 **6**

6/1979



**VI ინტერსი — გავშვითა დაცვის
საერთაშორისო დღეს**

შინაარსი

საპარტუკლოს კომპოზიტორთა კავშირის მიერგზავნილი
საპარტუკლოს კომპოზიტორთა VI შრილობას 2

გადაუდებელი ამოცანები 3

გურამ ენუქიძე —
დღიგმირუშველოვანი მოგვინა 13

გივი ორგნიციძე —
შრილოვინდანი შრილობაგვდი 19

ოთარ თაქთაქიშვილი —
ვიშვიკით კართული მუსიკის მოგვინაგვდი 40

სევეტანა ქვიცია —
აფხაზური მუსიკის ამოცანები 41

ზინიდა ხაბალოვა —
სამხრეთ რუსეთის მუსიკოსთა სახელოთ 42

მანანა ახმეტელი —
ანანაგელი „რუსთავი“ ათი წლინსა 44

ნონა გუნია —
ირინა ჯანდიერი 49

ელდარ შენგელაია —
კართული კინო და თანამედროვეობა 54

ნანა უიოიანი —
სინინარესო გამოვინა 62

ნოდარ გურაბანიძე —
სახელი ალაპინის — თანამედროვე გვირის ფორმირებას
პროგნოზი კართული საპროთა თეატრის 61

თამაზ ქვილიძე —
პან გოვის „წერილები“ 70

მედიის საინფორმაციო სახელოვის რკარის თეატრი თბი-
ლისში 78

ლაო-ძი —
დაო დე ძინი 79

აკაკი ვასაძე —
მოტივინები და შვიკები 83

ენე უიროდუ —
ბროსი რკირი ინინა (პიესა) 90

ბროსი 113

ახალი წინები 118

საბჭოთა სელოვინა

საპარტუკლოს სსრ კულტურის სამინისტროს
შრილოვინური შარნული

**თეატრი
მუსიკა
მხატვრობა
კინო
არქიტექტურა
მორეოგრაფია**

მთავარი რედაქტორი
თამაზ უილიამი
სარედაქციო კოლეგია:
პაპი გარბაძე,
პანტაშ გარიკი,
ნოდარ გავინი,
ჯუშვიტი თითოვინი
(კასუნიგებელი მვიკანი),
პანელ კიკნაძე,
ნოდარ მგალოვინივი,
ჯურაბ ნინაპაძე,
გივი ორგონიკიძე,
ნათელა ურუშაძე,
რევაზ ჩხივიძე,
ანდონ წულუკიძე,
ნიკო ზამხაძე,
ნოდარ ჯანანიძე.

თვალსაწიერის გაფართოებისა და პროფესიული ოსტატობის ამაღლების გზით საგრძნობი შემოქმედებითი წარმატებანი მოიპოვეს, რაც გამოიხატა ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების ავტორიტეტის ზრდით, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ...“

წარმატებებთან ერთად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დაღვენილებში ხაზგასმითაა აღნიშნული ის ნაკლოვანებებიც, რომლებიც აღნიშნება საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მუშაობის ამა თუ იმ სფეროში: „საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პარტიული ორგანიზაცია ჭრ კიდევ სუსტად რაზმავს კავშირის წევრებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების გადასაწყვეტად, საკმაოდ აქტიურად არ წარმართავს მათ არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, არ ნერგავს მუშაობის ისეთ ფორმებს, როგორიც არის კომუნისტთა ანგარიშები, არ აღკვეთს უკლოდეგობის გამოვლინებებს, ჭერვანად არ უწყობს ხელს კემარტიად შემოქმედებითი აქმისფერის შექმნას, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებას, არ ეძებს ახალ ფორმებსა და მეთოდებს კავშირის თვითეული წევრის იდეურ-პროფესიული დონის ასამაღლებლად“...

მართლაც, გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს ამ უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარება-მოწესრიგება, ვანსაკუთრებით კი კემმარტიად შემოქმედებითი აქმისფერის შექმნა, რაც დამოკიდებულია ისეთ საკვირბორტო საკითხზე, როგორიცაა კოლგეილური ურთიერთობების კულტურა, პროფესიული ვითაი, ურომლისოდაც წარმოუდგენელია არსებობა და ცხოვრება ისეთი რთული, სპეციფიკური და მრავალწახანგოვანი ორგანიზმისა, როგორცაა კომპოზიტორთა კავშირი, რომელშიც თავს იყრან სხვადასხვა ასაკის, გემოვნების, ტემპერამენტის, სხვადასხვა შემოქმედებითი პოტენციისა და ორიენტაციის ადამიანები. აქედან გამომდინარე საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა ამ თავმოყრას მისცეს თანამშრომლობის მყარი ფორმა, მტკიცე ზასიათი. თანამშრომლობა კი ძალზე ფართო და ტრავად მცნება. იგი გულისხმობს არა მარტო პროფესიულ კონტაქტებს, არამედ ადამიანურ ურთიერთობებსაც, რომელთა მოწესრიგება, მაღალ დონეზე აყვანა საზოგადოების თვითეულ წევრს ევალება. ამ პირობის, ამ შეთანხმების გარეშე ზედმეტია ფიქრი მუშაობის ნორმალისაციავზე, საქმის კეთებაზე, შემოქმედებით წინსვლაზე.

დასაბარი როდია, ამ მხრივ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში ყველაფერი რიგზე არ არის. წარამარა ვაწყვებით შეუთანხმებლობის შეუწყნარებელ რეკლიდეებს, რომელთა მიზეზი, საშუხაროდ და უმეტესწილად, სუბიექტივობი, პატივმოყვარეობა, კარიერიზმია. აქედან ვითარდება საშინელი სენი ჭგუფოვანისა, სახეცვლას რომ განიცდის პერმანენტულად, ცალკეული მიროვნებებისათვის არახელსაყრელი სიტუაციის შესაბამისად და ვრცელდება ერთი ორგანიზაციიდან მეორეში, რაც წარმოქმნის დაძაბულ, მტრული ურთიერთობების მთელ ქსელს, რომელშიც, ნებსით თუ უნებლიეთ, ჩართულნი არიან ახალგაზრდებიც. პირადი კეთილდღეობისათვის ბრძოლის ამ პათოსში იკარგება შემოქმედებითი მუშაობისათვის განკუთვნილი დრო, ძალა, ენერგია, ზალისი, რაც ჩამორჩენის, შემოქმედებითი ხელომცარულობის, მარცხის საწინდარია. ყოველივე ეს ზიანს აყენებს მუსიკალურ კულტურას, საზოგადოებას, რომლის ინტერესები ეწირებიან აი, ასეთი ადამიანების ეგოისტურ კაპრიზებს.

სწორედ ამგვარ გამოვლინებებს ითვალისწინებდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, როცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის ტრიბუნლიდან შემდეგი სიტყვებით მოგვმართავდა:





„რაც უფრო მეტად ვითარდება ჩვენი საზოგადოება, მით უფრო შეუწყურებელი ხდება სოციალისტური წევრების ნორმებიდან გადახვევა, რასაც ჭრ კიდევ ვაწყდებით. მომხვეჭელობა, ეკრომისეკუთრული ტენდენციები, ხულიგანობა, ბიუროკრატში და ადამიანისადმი გულგრილობა ეწინააღმდეგება თვით ჩვენი წუბობილების არსს. ასეთ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლაში საჭიროა სრულად გამოვიყენოთ მშრომელი კოლექტივის აზრიც, პრესის კრიტიკული სიტყვაც, დარწმუნების მეთოდებიც, კანონის ძალაც — ჩვენს განკარგულებაში არსებული ყველა საშუალება“.

ცხადია, ცხოვრების ასეთი წესი არ შეშვენიის ადამიანს, მით უფრო ხელისუფლებას, შემოქმედს, მხატვარს, რომელიც, უპირველესად ყოვლისა მშობელ ხალხს უნდა ემსახურებოდეს, თავისი ქვეყნის წინსვლა, მისი სატკივარი და კეთილდღეობა ასულდგმულბდეს. ხელოვანი მხარში უნდა ედგას კომუნისტურ პარტიას და თავისი პრინციპული, მაღალწონობრივი შემოქმედებითი ცხოვრებით მისაბამ მთავალის აძლევდეს საზოგადოებას, ხალხს, ახალგაზრდობას. სამწუხაროა და უხერხულიც, რომ დღეს ამ ანბანური ჰუმპარტიების შესხენება გვეკრება, მაგრამ ამას მოითხოვს გარემოება, ის უკიდურესად გამწვავებული რთოერთობები, დაკგუფებები, რომელთა აღმოფხვრა გადაუდებელი ამოცანაა, საქართველოს კომპოზიტრთა კავშირის თვითეული წევრის ვალაია.

ეს ვითარება გვაფიქრებინებს, რომ საქართველოს კომპოზიტრთა კავშირის ცალკეულ წარმომადგენლებს არა აქვთ გარკვეული თვინათი სამოღვაწეო პროგრამა, არა აქვთ გათვალისწინებული თვინათი მოქალაქეობრივი პოზიცია, საზოგადოებრივი მისია, რაც ზიანს აყენებს, აღარბებს მათ შემოქმედებით მარშალსა. ასეთი განცხადების საფუძველს გვაძლევს ფენოინი მაღალი ხელოვნებისა, რომელიც ეთიკური და ესთეტიკური კრიტერიუმების, შემოქმედებითი და მოქალაქეობრივი პოზიციების განუყოფელ ერთიანობაში ყალიბდება. ხელოვნების სწორედ ასეთ ნიმუშებს გულისხმობდა ლ. ი. ბრეჟნევი, როცა სკვპ XXV ყრილობისადმი მიძღვნილ საანგარიშო მოხსენებაში წერდა:

„საბჭოთა მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, თეატრის, კინოს, ტელევიზიის მუშაკები — ყველანი ვისი ნიჭი და პროფესიული უნარი ემსახურება ხალხს, კომუნისმის საქმეს, დიდ მაღლობას იმსახურებენ. მოხარული ვართ, რომ სულ უფრო მტიციედ შემოდის ცხოვრებაში ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის ახალგაზრდა თაობა. ნამდვილი ნიჭი იშვიათად გვხვდება. ინტერატურისა თუ ხელოვნების ნიჭიერი ნაწარმოები ეროვნულ სიმიღირება. ჩვენ კარგად ვიცით, რომ მხატვრული სიტყვა, ფერების ელფერება, კვანამოსახველობა, ბგერების პარმონია შთააგონებენ თანამედროვეებს და შთამოშავლებს გადასცემენ სულისა და გულის ხსოვნას ჩვენი თაობის, ჩვენი დროის, მისი მიღწევარებისა და მიღწევების შესახებ. მოდიოთ ვუსურვოთ კულტურის მოღვაწეებს — პარტიის წევრებსა და უპარტიოებს, შექმნან ჩვენი ისტორიის, ჩვენი დიდი საშობლოს შესაფერი ახალი ნაწარმოებები“.

სწორედ ეს პლატფორმა აძლევს სწორ გეზს ხელოვანის ცხოვრებას, მოღვაწეობას, შემოქმედებას. მოქალაქეობრივი პოზიციის გამოპყავს იგი პირადული, ვიწრო, კარნაკეტული ინტერესების ტყეობიდან საზოგადოებრივი ცხოვრების ვრცელ ასპარეზზე. ისტორია, ცხოვრება, ყოველდღიური პრაქტიკა გვაწვავს, რომ მხოლოდ იმ პიროვნებების მოღვაწეობაა ნაყოფიერი, შინაარსიანი, მრავალფეროვანი, ვინც ამ რთულ გზას ადგას, ამ გეზს ირჩევს. ნამდვილი ხელოვანისათვის არ არსებობს სხვა გზა. მართალი, თავადდებული, უანგარიშო შრომის მხოლოდ ამ გზას მოაქვს სახელი, აღიარება, ავტორიტეტი...“

გავისხენით საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის ტრიბუნისა და წარმოთქმული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის სიტყვები: „არ შეიძლება, რომ ქვეშაობრივი ხელოვანი, თუ იგი ნამდვილად ნიჭიერია, არ გრძობდეს დროის მაქისცემას, განუე

უდგებოდეს მის გარშემო მიმდინარე მოვლენებს, მთავარი გზის ნაცვლად ვიწრო ორღობებში დადიოდეს“.

მალმომქალაქებორიე პოზიციაზე დგომა ევალება ყველა მუსიკოსს, მით უფრო შემოქმედებითი ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკებს, რომელთა ამოცანაა წინ წაოსწიონ და გაამახვილონ მუსიკალური ხელოვნების ამოზრდელობითი როლი, მისი განმანათლებლური ფუნქცია. სწორედ ამ ამოცანაზეა დამოკიდებული საზოგადოების იდეურ-ესთეტიკური დონის ზრდა, სულიერი და მორალური კულტურის დახვეწა-ამაღლება. სწორი, ჯანსაღი, პროგრესული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება. ამ მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტა დამოკიდებულია რეპერტუარის ფორმირებაზე, სარეპერტუარო პოლიტიკის დანიერულ წარმართვაზე. ცხადია, ამ სფეროშიც ვერაფერს გავხედებით თუკი არ გამოვიმუშავებთ აქტიურსა და პრინციპულ პროფესიულ-მოქალაქებორიე პოზიციას. ახალს არაფერს ვიტყვით თუკი აღენიშნავთ — ფართო გზა უნდა მიეცეს მხოლოდ ჭეშმარიტად მაღალმანატიერულ, მაღალიდერულ, ეროვნული ნიადაგიდან ამოზრდილ, თანამედროვე სულისკვეთებისა და ინტერნაციონალური ეტრადობის მუსიკას. ასეთი ნაწარმოებების პროპაგანდა უნდა გამოეცხადოს ბრძოლა უნიკობას, უგემოვნობას, უეკონორ ჭკუის ქულეტას, უსახლოობას, რისგანაც, სამწუხაროდ, დასუველები არა ვართ. სარეპერტუარო პოლიტიკის ფრონტზე დაუშუებელია ტენდენციურობა, კომპრომისები, პროტექციონიზმი. აქ არ უნდა მოქმედებდნენ პირადული ხასიათის სიმპათიანტიპათიები, მეგობრული კონტაქტები, ურთიერთობების გაფუჭების შიში, მორიდება და სხვა ამგვარი სისუსტეები. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ კომპრომისითა კავშირის სექციების მიერ მიღებულ, კულტურის სამინისტროს მიერ შესყიდულ ნაწარმოებებს ფართოდ გესხნებათ გზა სამეშრულედლო კოლეკტივისაკენ, საკონცერტო ესტრადისაკენ, საოპერო, საბალეტო, საოპერეტო სცენებისაკენ, აქედან კი, რადიოსა და ტელევიზიისაკენ. ასე და ამრიგად, აღნიშნული ორგანიზაციების მიერ რეკომენდებული ნაწარმოები უზნარბზარი აუდიტორიის ყურადღების ცენტრში ხვდება. აქედან გამომდინარე, სარეპერტუარო პოლიტიკაზე დიდადაა დამოკიდებული როგორც მსმენელთა მოზიდვისა და დანტერესების ამოცანა, ასევე მსმენელთა დაკარგვის სამიშრობება, რისი მოწმენიე ჩენე არა ერთხელ ვყოფილვართ კიდევ. ამდენად, ცარელი დარბაზების გულსტიკვილს, აუდიტორიის დაუსწრებლობის სამწუხარო ფაქტებს მარტოდენ მსმენელთა გულგრილობას ნუ მივაწერთ, ამაში ნაწილობრივ ბრალი მიუძღვით მუსიკალური კულტურის პროპაგანდისტებსაც.

სარეპერტუარო პოლიტიკის ფრონტზე ასევე დაუშუებელია თავნებობა და სიკუიუტე. ამასაც საგანგებოდ აღენიშნავთ, რადგან ვიციე ისეთი შემთხვევებიც, როცა ამა თუ იმ სამეშრულედლო კოლეკტივის ხელმძღვანელი, სუბიექტური მიზეზების გამო, კატეგორიულ უარს ამბობს საინტერესო, მნიშვნელოვან ნაწარმოებთა შესრულებაზე.

სარეპერტუარო პოლიტიკამ უნდა დამყაროს წონასწორობა სხვადასხვა სტილის, ეპოქის, ამა თუ იმ ეროვნული სკოლის ნაწარმოებთა შორისაც. ამ მხრივაც ყველაფერი რიგზე არ უნდა იყოს. ამ სფეროშიც სისტემატურად ვაწყებებით თანაფარდობის დარღვევის შემთხვევებს. ჩენი მუსიკოსები — გვარლისმომბოთ როგორც ცალკეულ შემსრულებლებებს, ისე შემოქმედებით კოლექტივებს, აშკარა უპირატესობას ანიჭებენ საზღვარგარეთულ მუსიკას, ევროპულ კლასიკას, რაც აიხსნება მისი მაღალი ღირსებებით. დაუშუებელია ამ შესანიშნავი კულტურის უგულებელყოფა. მაგრამ მან მაინც არ უნდა დაჩაგროს ჩენი მშობლიური მუსიკა, რომლის მოვლა-პატრონობა, პროპაგანდა და პოპულარიზაცია ჩენი უმთავრესი ამოცანაა. ხომ არ დადგა დრო არც თუ ისე შორიულ წარსულში შექმნილი ეროვნული მუსიკალური მეკვიდრეობის გადასინჯვისა, რათა დავიწყებას არ მიეცეს ქართული მუსიკის ამა თუ იმ ეანრის თვა-



ლსაჩინო ნიშნში. ჩვენს აფიშებზე იშვიათად ვხვდებით კლასიკური და საბჭოთა პერიოდის ქართულ დასახელებებს. მხედველობაში გვაქვს თუნდაც ის ფართოდ გახმაურებული ნაწარმოებები, რომლებმაც თავის დროზე ქართულ მუსიკის მოუტრანს სახელი და ავტორიტეტი. ნუთუ ასე ფუჭად ჩაიარა კომპოზიტორთა თაობების შრომამ და გარკამ? საკითხაია — დრომ გააუფასურა ეს ქმნილებები თუ ჩვენმა უფულისყურობამ გამოუტანა მათ ასეთი სასტიკი ვანაჩენი? საკითხავდ რომ არ გავციხვდნენ საქმე, ამისათვის საჭირო ქართული მუსიკის სადამოუბის გამართვა, რაც საფუძველს მოგვცემს ნაწარმოება შემოწმების, შესწორების, შერჩევისათვის.

როგორც აქედან ჩანს, ჩვენში დაბალ დონეზე დგას ეროვნული მუსიკალური მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობის კულტურა. ამასვე გვიდასტურებს უნიკალური ქართული ხალხური მუსიკაც, რომელიც მიტოვებული გვაქვს სულ რამდენიმე ანსამბლის ანაბარა. არ ქვეყნდება სიმღერა-სავალთებულთა კრებულები, მეცნიერული ნაშრომები, გამოკვლევები, ნაკლებად ან სულაც არ იმართება ხალხური მუსიკის ოლიმპიადები, ფესტივალები, კონკურსები, მით უფრო კონფერენციები და სიმპოზიუმები. არადა, მხოლოდ ამ გზით გაძლიერდება ჩვენი მოსახლეობის ლტოლვა და ინტერესი ხალხური მუსიკისადმი, რომლის წინაშე ვალში არიან თითქმის ყველა შემოქმედებითი ორგანიზაციები, განსაკუთრებით კი მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოება, რომლის ძირითადი ამოცანა თვითშემქმედების დარაზმის საფუძველზე ხალხური შემოქმედების მოვლა-პატრონობა, მისი პოპულარიზაცია და პროპაგანდა.

ხალხური მუსიკისადმი მზრუნველობას იჩენს ხალხური შემოქმედების სახლი, რომელიც სისტემატურად ბეჭდავს ხალხური სიმღერების კრებულებს შედგენილ დიალექტების მიხედვით. მაგრამ საქმეს ვერც ეს გამოჩაყლისი შეუღლი, თუნდაც იმიტომ, რომ მეტისმეტად მცირეა ამ კრებულების ტირაჟი (500 ცალი). ამ მიმართულებით მეტი აქტიურობა მართებს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიას, რომელიც მუსიკალური ხელოვნების ენერგებს შორის ყოველთვის ვერ ამყარებს სწორ თანაფარდობას. ფილარმონიის შიდა სარეპერტუარო და საგასტროლო პრაქტიკაში ძალზე დიდი ადგილი ეთმობა სხვადასხვა ყიდილს საესტრადო კოლექტივებს, ისეთ საესტრადო მუსიკას, რომელიც ყოველთვის ვერა დგას სათანადო სიმაღლეზე. დასამალი როდია, მუსიკალური კულტურის ამ მეტისმეტად პოპულარულსა და უაღრესად საპასუხისმგებლო უბანზე ხშირია უგემოვნებობის, უდიდობისა და მიზამაველობის გამოვლინებები, რისგანაც არც ჩვენი წამყვანი კოლექტივები არიან დაზღვეული. კვლავინდებურად სცილდები ქართულ საესტრადო სიმღერათა ლიტერატურული ტექსტები. მათზე კი დიდადაა დამოკიდებული ნაწარმოება შინაარსი, ესთეტიკური დონე და ხარისხი.

დროა, ქართულ საესტრადო ხელოვნებას მიენიჭოს მსმენელთა ფართო მასების ესთეტიკური აღზრდის ფუნქცია. ამისათვის კი სალაღობო-გასართობ პროგრამებს უნდა შევუთავსოთ ეროვნული ნიადაგიდან ამოზრდილი, მაღალი მოქალაქეობრივი პათოსით გამსჭვალული, ჭეშმარიტად თანამედროვე საესტრადო ნაწარმოებები.



როგორც ჩანს, ყოველივე ამას ითვალისწინებდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, რომელიც საგანგებოდ მუშაობის საქართველოს კომპოზიტორთა კავშირს „გააღრმავოს შემოქმედებითი კონტაქტები რესპუბლიკის კულტურის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ სახტეორადობისთან, მუსიკალურ დაწესებულებებთან, რათა მოეწესრიგდეს ხარეპერტუარო პოლიტიკა, რომელიც საქმთოა ხელოვნებისათვის წაყენებულ მაღალ იდეურ-ესთეტიკურ და სამხატვრო მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს“.

განსაკუთრებული წარმატებები აღინიშნება ქართული საშემსრულებლო ხელოვნების ფრონტზე, რომლის სახელსა და ღირსებებს იცავენ შესაწარმავი

ქართელი ინსტრუმენტალისტები, მომღერლები... ამ ნიჭიერ შემოქმედებით
ძალბეს წარსულში მკვეთრად ჩამოუვარდებოდნენ ჩვენი რესპუბლიკის შემო-
ქმედებითი კოლექტივები, რაც ერთგვარ შეუსაბამობასა და წინააღმდეგობებს
ქმნიდა სამემსრულებლო ხელოვნების სოლო და კოლექტური მუზიკირების
ფორმებს შორის.



ცხადია, თანაფარდობის ასეთი დარღვევა ზელს უშლიდა რესპუბლიკის
მუსიკალური ცხოვრების ინტენსიურ გახვითარებას, ერთიან პროფესიულ-
მხატვრული დონის დაყვედრებასა და მის შემდგომ ამაღლებას.

სადღესოდ ვითარება მკვეთრად შეიცვალა. რადიკალურად გარდაიქმნა
ისეთი მნიშვნელოვანი და წამყვანი შემოქმედებითი კოლექტივების მუშაობა,
როგორცაა საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკე-
სტრი, საერთაშორისო კონკურსისა და ზ. ფალიაშვილის პრემიის ლაურეატი
საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი, საქართველოს ფილარმონიის
კამერული ორკესტრი, საქართველოს სახელმწიფო კაპელა და სხვა კო-
ლექტივებიც.

ძალზე მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ დღეს სიმფონიური ორკესტრე-
ბი მოღვაწეობენ აფხაზეთში, აჭარაში, ქუთაისში. ეს კოლექტივები მსმენელთა
ფართო მასებში პროფესიული მუსიკისადმი ინტერესს ნერგავენ. სასურვე-
ლია და აუცილებელიც, რომ ეს კოლექტივები ერთგვარა შემოქმედებითი ანგა-
რისაზეთ პერიოდულად მიიწვი გამოდიოდნენ ჩვენი დედაქალაქის მუსიკალური
საზოგადოების წინაშე.



ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომი-
ტეტის დადგენილება საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის წინაშე, აყე-
ხვის წინადადებას „განამტკიცოს შემოქმედებითი ურთიერთობა აფხაზეთისა
და აჭარის ასს რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის
მუსიკალურ დაწესებულებებთან. მეტი უპრადება დაუთმოს ადგილებზე მო-
მუშავე კომპოზიტორების ნაწარმოებთა პროპაგანდას“.

მოწვევების გვერდით ჩვენში ადგილი აქვს არათანაბარი პროფესიულ-
მხატვრული დონის გამოვლინებებსაც, რასაც დავეიმოწმებს ზ. ფალიაშვილის
სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი,
რომელმაც დიდი ტრავმა გადაიტანა და ფაქტიურად მხოლოდ ახლა იწ-
ყებს ახალ შემოქმედებით ცხოვრებას. ამ სახელოვან კოლექტივში გადასაწყ-
ვეტია შემოქმედებითი პრობლემების მთელი წყება. სხვაგვარად ზედმეტია
ფიქრი მუშაობის გააქტიურებასა და ნორმალისაცაზე. აშკარად დარღვეულია
ხარისხობრივი თანაფარდობა სოლისტ-მომღერლებსა და ისეთ რთულ შემო-
ქმედებით ორგანიზმებს შორის, როგორცაა გუნდი და ორკესტრი. ამის უმთავ-
რესი მიზეზია არათანაბარი პროფესიულ-მხატვრული დონე, რომელიც არ
იძლევა სამემსრულებლო ხარისხის ამაღლებასა და სტაბილიზების საშუა-
ლებებს. არსებითად ამ შეუსაბამობიდან იღებს სათავეს ყველა ის წინააღმ-
დეგობა, რომელიც გამოსჭვივის ჩვენი საოპერო თეატრის თითქმის ყველა
სპექტაკლიდან. არადა, დროა არსებითად გარდავემნათ თბილისის საოპერო
თეატრის მუშაობა — ავამალლოთ მისი პროფესიული დონე და ხარისხი, ვიბ-
როვლოთ რეაგრტუარის გამდიდრებისათვის, ეროვნული საოპერო რეკონსტრუ-
ირისა და სცენოგრაფიის გახვითარებისათვის.



დღეს უკვე შესაძლებელია ცალკეულ დადგმებზე ცნობილ საბჭოთა რე-
ჟისორების, მხატვრების, დირიჟორების მოწვევა. იზოლირებული, კარჩავეტი-
ბი ცხოვრება კონსერვაციის საწინააღმდეგოა. ამით ჩვენი თეატრი აღმოჩნდება იმ
საინტერესო ძიებებისა და განმარტებლური ტენდენციების მიღმა, რომლებიც
ვითარდებიან ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ საოპერო თეატრებში და მოაქვთ ძალ-
ზე მნიშვნელოვანი შედეგები საბჭოთა საოპერო ხელოვნებისათვის.

პროფესიონალიზმის განხრებილი ამაღლება დამოკიდებულია კვალიფიცი-
რებული კადრების აღზრდის ამოცანაზე. როგორც ჩანს, ამ სფეროშიც გვექვს

ნაკლოვანებები, რასაც გვიმოწმებს მყარი პროფესიული ჩვევებით აღჭურვილი კადრების ნაკლებობა როგორც თბილისის, ისე ქუთაისის საოპერო თეატრში, რომელიც ეწევა ძალზე ნაყოფიერ, გეგმაზომიერ მუშაობას, ვ. აბაშიძის სახელობის თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრში, ქართულ ბალეტშიც. დაბალია ამ კოლექტივების ორკესტრების, გუნდების, კორღბალეტის პროფესიულ-მხატვრული დონე. ყოველივე ამას მიყვავართ აღმზრდელობით სისტემასთან, საშუალო და უმაღლეს მუსიკალურ სასწავლებლებთან, საოპერო სტუდიასთან, ქორეოგრაფიულ სასწავლებლებთან, რომელთა მუშაობა ამ თვალსაზრისით შესასწავლია და გადასასინჯი.

აქედან გამომდინარე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება აღნიშნავს, რომ „რესპუბლიკის კომპოზიტორთა კავშირის საქმიანობაში ჭერ კიდევ ბევრი გადაუჭრელი პრობლემაა. არ დაქარბებულია სისტემატური საქმიანი კავშირი კულტურის სამინისტროსთან, მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ საზოგადოებასთან, ზ. ფალიაშვილის ქახელის ოცნისა და ბალეტის თეატრთან, სახელმწიფო კონსერვატორიასთან, რესპუბლიკის სხვა შემოქმედებით ორგანიზაციებთან და კულტურის დაწესებულებებთან; ჭერ კიდევ არ იგრძნობა მათი მეცადინეობის კოორდინაცია იმ დიდმნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის საქმეში, რომლებიც დაკავშირებულია კომპოზიტორთა და მუსიკათმცოდნეთა, განსაკუთრებით ახალგაზრდათა, იდეურ-პროფესიულ ზრდასთან, მშრომელთა შორის მიმდინარე ესთეტიკურ-აღმზრდელი მუშაობის თვისებრივ გაუმჯობესებასთან“. ამასთან ერთად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება წინადადებას აძლევს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს „განამტკიცოს შემოქმედებითი თეორიისა და საქართველოს კომპოზიტორთა კავშირთან, უფრო ფართოდ ჩაებას იგი მუსიკალურ განათლებასთან, მუსიკალური კრიტიკისა და ფილარმონიის კოლექტივების სარეპერტუარო პოლიტიკასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტაში“...



საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მუსიკათმცოდნეობის სადღესიო მდგომარეობას და ხაზგასმით აღნიშნავს: „ჭერ კიდევ დაბალია მუსიკალური კრიტიკის დონე, პრესაში იშვიათად იბეჭდება მაღალპროფესიული კრიტიკული სტატიები, საქმად ფართოდ და ყოველმხრივ არ აშუქებენ და არ აანალიზებენ რესპუბლიკის მუსიკალურ ცხოვრებას.

უკანასკნელი 10-15 წლის მანძილზე ქართველი მუსიკათმცოდნეი პრაქტიკულად არ გამოსილან საქავშირო პრესის ფურცლებზე, არ შექმნილა მონოგრაფიები გამოჩენილ ქართველ საბჭოთა კომპოზიტორებზე, ეროვნული მუსიკალური კულტურის ცალკეულ თანრებზე, არ მუშავდება საბჭოთა მუსიკის დიდმნიშვნელოვანი თეორიული, ესთეტიკური, სოციოლოგიური პრობლემები“.

ქართული მუსიკალური კრიტიკის, უფრნალისტკის, მუბლიცისტკის ამ სავალაო მდგომარეობას ყველაზე უფრო მეტად გრძნობს, ყველაზე უფრო უკეთ იცნობს ქურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქცია, რადან მუსიკისმცოდნეობის სწორედ ეს დარგები ქმნიან სახელოვნო უფრნალის დასაყრდენს, მის ქვეყნობს. აქედან გამომდინარე რედაქციის ყოველდღიური მუშაობის პრაქტიკა გვიდასტურებს, რომ ქართული მუსიკისმცოდნეობა ვაჭირვებას განიცდის. ამის უპირველესი მაჩვენებელია—კვალიფიცირებული ავტორების სიმცირე, რის გამოც ვანუხილველი და შეუფასებელი რჩება არა ერთი და ორი მუსიკალური ნაწარმოები, სექტაკლი და კონცერტი, ამა თუ იმ კომპოზიტორისა თუ შემსრულებლის შემოქმედება, მიმდინარე შემოქმედებითი პროცე-

სემისათვის დამახასიათებელი ესა თუ ის ტენდენცია და პრობლემა. ცხადია, თითო-ორი სპეციალისტი, რავინდ ნიჭიერი და ნაყოფიერიც არ უნდა იყოს იგი, ვერ გასწვდება, ვერ გადასჭრის იმ ნაირგვაროვან ამოცანებს, დღიოდღე რომ მრავლდება და რთულდება ქართული მუსიკალური კულტურის ამა თუ იმ უბანზე, ამა თუ იმ სფეროში. რა თქმა უნდა, იგივე მიზეზი — კვალიფიცირებულ კადრების ნაკლებობა — აფერხებს ქართული მუსიკალური ჟურნალისტიკის, პუბლიცისტიკის, კრიტიკის განვითარებას, — დონისა და ხარისხის ამაღლებას.

განსაკუთრებით სამწუხაროა, რომ ამ დარგების მიმართ გულგრილობას იჩენენ ახალგაზრდა მუსიკოსმცოდნენი, რომლებიც ტრადიციისა თუ ინერციის ძალით პედაგოგურ ასპარეზს ირჩევენ და თავს არიდებენ იმ ქმედით შემოქმედებით მოლაპარაკებას, რომელიც უნდა წარმოადგენდეს მათი პროფესიის ქვაკუთხედს. ეს ძალზე დამაფიქრებელი მომენტი დაკავშირებულია მრავალ ფაქტორთან — უპირველესად აღმზრდელით ისტემისთან, სასწავლო პროგრამებთან, რომელშიც მუსიკალურ ჟურნალისტიკას, კრიტიკას, პუბლიცისტიკას არ ეთმობა სათანადო ადგილი და მნიშვნელობა, მერე კი იმ უკიდურესად ვაშლავებულ ურთიერთობებთან, შინაგან წინააღმდეგობებთან, რომლებსაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვაწყდებით ჩვენს მუსიკალურ ორგანიზაციებში, რაც აფერხებს შემოქმედებით ასპარეზზე ახალგაზრდა ძალების გამოჩენას. ვითარებას ათთულეს კრიტიკული აზრისადმი მტკივნეული, მტრული დამოკიდებულება, რაც ძირშივე სპობს ახალგაზრდა და არა მარტო ახალგაზრდა ავტორებში ობიექტური, პრინციპული, კეთილსინდისიერი მოღვაწეობის სურვილსა და მისწრაფებებს. აქვე აღსანიშნავია კიდევ ერთი მომენტი, რომელიც, რატომღაც, აკრთობს ხოლმე ახალგაზრდა ავტორებს. უმეტესობა, როგორც წესი, ვერ იტანს შენიშვნებს, მითითებებს, რჩევებს. მათ არ მოსწონთ ნაშრომის გადამშუავების პერსპექტივა. ასეთ შემთხვევაში ისინი უმაღლეს სიმბოვნ თავიანთ პოზიციებს და მათდამი კორექტული, კეთილგანწყობილი დამოკიდებულების მიუხედავად, რედაქციაში მეორედ უკვე აღარ მოდიან. არადა დაეჩინებულ მუშაობას, წვლების, წინააღმდეგობების გადალახვის ვარეშე ზედმეტული ფიქრი ზრდაზე, წინსვლაზე, წარმატებებზე, მით უფრო ისეთ რთულსა და ჭირვეულ სფეროში როგორცაა პრესა, სადაც ავტორი პასუხს აგებს თვითი-ულ სიტყვაზე.

ამ ვითარების ფონზე ადვილად წარმოსადგენია ის განსაცდელი და გაჭირვება, პროფესიული, ობიექტური, ცოცხალი წერილების შიშშილი, რომელსაც წარა-მარა, ყოველდღიურად აწყდებიან ჟურნალ-გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის თანამშრომლები.

რედაქციებში შემოსული მასალების მეტი ნაწილი ვერ პასუხობს თანამედროვე ჟურნალისტიკის მოთხოვნებებს, ვერ ითვალისწინებს ამა თუ იმ ქანრის სპეციფიკურ თავისებურებებს. არადა მუსიკოსმცოდნე-ჟურნალისტი უნდა წერდეს პრობლემური, მონოგრაფიული, ისტორიული ხასიათის წერილებს, რეცენზიებს, შემოქმედებით პორტრეტებს, რეპორტაჟებს, ესეისტურ





ნარკვევებს, უნდა ფლობდეს ჟურნალისტიკის ისეთ ქმედისა და საინტერესო ფორმებს, როგორცაა დიალოგი, ინტერვიუ, მრგვალი მაგიდა... აბა რა გვეთქმის ამ ეპოქაზე, როცა რედაქციაში შემოსული უზარალო ინფორმაცია კი უმეტესწილად მოითხოვს საფუძვლიან გადამუშავებას. თვითონ წერა, დაუწერელ კანონად იქცა რედაქციის თანამშრომელთათვის.

არც თუ ისე იშვიათია მშობლიური ენის უცოდინარობის გრძობებებიც, რასაც გვიმოწმებს რედაქციაში შემოსული სტილისტურად და სრულყოფილად გაუმართავი წერილები. ამიტომაც ძალზე დროულია და მისასალმებელი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება „რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, სადაც სამართლიანადაა აღნიშნული, რომ „ქართული სალიტერატურო ენა არც თუ იშვიათად მახინჯდება პარესაში, ტელე და რადიოგადაცემებში, ზოგიერთ მხატვრულ ნაწარმოებში, კინოსა და თეატრალურ დადგმაში, ფირნიშებზე, აფიშებზე, სარეკლამო გამოშვებებში და სხვა“.

მუსიკალური ჟურნალისტიკა შემოქმედებითი აზროვნების ერთ-ერთი სფეროა. აქაც, ისევე, როგორც ხელოვნების ნებისმიერ დარგში აუცილებელია ნიჭი, ოსტატობა, პროფესიონალიზმი... ჟურნალისტური ნაწარმოები, ისევე როგორც ხელოვნების ესა თუ ის ქმნილება, უნდა ეყრდნობოდეს მაღალ იდეურ-ესთეტიკურ პოზიციას, მისი ავტორი უნდა ფლობდეს ენას, ლექსიკას, სტილს, წერის ტექნიკას, ფორმასა და დრამატურციას. მისი ხელწერილიდან უნდა გამოიჭვირდეს სისადავე, არტიზმი, ტემპერამენტი... დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცოცხალ, მართალ ინტონაციასაც... უამისოდ შეუძლებელია იდეის გატარება, მისი მხატვრული ხორცშესხმა, შინაარსის, აზრის, დამაჯერებლად, საინტერესოდ გადმოცემა.

პრაქტიკა ამტკიცებს, რომ მხოლოდ ის ჟურნალისტური ნაწარმოებია ღირსეული, მხოლოდ ის ავტორია საინტერესო საკითხავი, რომელიც ამაღლებს ორიგინალურ ხედვას, გააჩნია განსახილველ ობიექტში გარდასახვის უნარი. ყოველივე ეს კი თვისებებია ტალანტისა, რომლის გადამწყვეტ როლსა და მნიშვნელობას ჩვენ ხშირად ვვიწყებთ ხოლმე.

ასეთია ქართული მუსიკალური ჟურნალისტიკის საერთო მდგომარეობა, რომლის გამოსწორება დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე — უპირველესად კი კადრების სწორ შერჩევაზე.

მუსიკალური ჟურნალისტიკის სფეროშიც შეუწყვეტილ ვითარდება შემოქმედებითი აზროვნების მეთოდი და ფორმები. კარგა ხანია მოძველდა მუსიკალურ ნაწარმოებზე ალწერის, პარტიტურის დეტალური, სკრუპულოზური ანალიზის ხერხი. ეს ხერხი არაფერს იძლევა სქემატურობის, ფორმალობის, პუკის ტყულების გარდა. იგი აფრთხობს მკითხველს, რომელსაც აინტერესებს მუსიკალური მოვლენის სულში წყნობა, მის არსებობაში ვარკვევა და არა ნაწარმოებზე აზროვნება-განაგრაშება. სამწუხაროდ, ასეთნაირი „გამოკვლევებიც“ ძალზე ხშირად შემოდის რედაქციაში. აქედან კი იხადება ასეთი კითხვა: მაინც ვისთვის ვწერ ასეთ წერილებს? ნუთუ მართოდენ სპეციალისტთა ვიწრო წრისათვის? მაშ ვისღა ევალება მსმენელთა ესთეტიკური გემოვნების ფორმირება, დახვეწა და ამაღლება, უცოდინარობის, უგემოვნებობის, დილეტანტიზმის აღმოფხვრა, მუსიკალური ცოდნისა და განათლების გავრცელება თუ არა მუსიკალურ ჟურნალისტიკას, კრიტიკას, პუბლიცისტიკას?



აქედან გამომდინარე მუსიკალური ჟურნალისტიკაც, ისევე როგორც მუსიკა, მხოლოდ მაშინ ამართლებს თავის ფუნქციას, როცა იგი ადამიანებისათვის გასაგებ, მისაწევრომი, ახლობელია, როცა იგი საზოგადოებრივ ცხოვრების სამსახურშია ჩამდგარი.

ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ ენაურება საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მუშაობას, აშუქებს ყრილობებს, პლენუმებს, ფესტივალებს, სხვა

სახის შემოქმედებით ღონისძიებებსაც, ბეჭდავს წერილებს ცალკეულ კომპოზიტორთა შემოქმედებაზე, ცალკეულ ნაწარმოებებზედაც. ცხადია, ამ მასალის ავტორიანობაზე უნდა იმსჯელოს ჟურნალის მკითხველმა, სპეციალისტებმა, რომელთა აზრი, შენიშვნები, კრიტიკული შეხედულებები რედაქციასათვის საინტერესო, ანგარიშგასაწევი, მნიშვნელოვანი იქნება. მაგრამ სპეციალისტების აზრი, განსაკუთრებით კი კრიტიკული წერილებისადმი ობიექტური თუ სუბიექტური დამოკიდებულება ყოველთვის არაოფიციალური, არღვავალური სახეს ატარებს და მითქმა-მოთქმის დონეზე ჩერდება.

რედაქციის კომპეტენციაში სულაც არ შედის საქმიანი, კრიტიკული შენიშვნების შესუსტება, პოლემიკური ტონის დაწევა და შერბილება. თავისი პოზიციის გამოვლინების მიზნით რედაქციას შემოღებული აქვს ასეთი რუბრიკა: «იბეჭდება განხილვის წესით», რაც ნიშნავს ამა თუ იმ წერილის ირგვლივ კამათის, დისკუსიის გამართვას. მაგრამ, სამწუხაროდ, ჟურნალში გამოქვეყნებულ თითქმის არც ერთ კრიტიკულ წერილს პასუხი არ მოჰყოლია, მიუხედავად იმისა, რომ არ უჩანს ბოლო გაკრიტიკებულთა აღშფოთებასა და უკმაყოფილებას.

გაკვირვებას იწვევს კრიტიკული მასალისადმი უგულისყურო დამოკიდებულებაც. ეს ეხება იმ შემოქმედებით ორგანიზაციებს — თბილისის საოპერო თეატრი, ფილარმონია, კონსერვატორია და ა. შ. რომელთა მუშაობის შესახებ ჟურნალის ფურცლებზე მრავალი საყურადღებო მოსაზრება გამოითქვა.

რედაქციას არ ახსოვს, რომ რომელიმე ორგანიზაციას შეეჩქავლოს და განეხილოს ჟურნალში გამოქვეყნებული კრიტიკული მასალა. კრიტიკა ქაღალდზე რჩება. არადა დროა გამოვიმუშავოთ კრიტიკული შეხედულებების რეალიზაციის ფორმები და საშუალებები. გამონაკლის წარმოადგენს ქუთაისის საოპერო თეატრი, რომლის ხელმძღვანელები დიდი ინტერესით, გულსწყურით ეცნობიან, ითვალისწინებენ მათი სპექტაკლების ირგვლივ გამოთქმულ შენიშვნებსა და მოსაზრებებს.

გვახსენდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის ტრიბუნლიდან ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოდგენილი სიტყვები: „სამწუხაროდ, ჭერ კიდევ ვგზდებიან მუშაკები, რომლებიც სათანადოდ არ აფასებენ პრესის საზოგადოებრივ მნიშვნელობას. არიან ესეთებიც, რომლებსაც ეამებათ, როცა აქებენ ხოლმე, მაგრამ არ იციან კრიტიკის მოხმენა და ამ კრიტიკიდან სწორი დასკვნების გამოტანა. პარტიულმა კომიტეტებმა უნდა მიუთითონ იმათ, ვინც ცდილობს თავი აარიდოს საქმიან კრიტიკას, გულგრილად ეციდებან პრესაში დღემნიშვნელოვანი პრობლემების დაყენებას, მასში გამოქვეყნებულ წერილებს“.

ერთი სიტყვით, ჩვენს წინაშე დგას პრობლემების მთელი რეალი, რომელთა გადაწყვეტა დამოკიდებულია ყველა იმ შემოქმედებით ორგანიზაციაზე, ყველა იმ გამოჩენილ მოღვაწესა თუ რიგით მუშაზე, რომელიც ქართული საბჭოთა მუსიკალური კულტურის სამსახურში იმყოფება. მივმართავთ მათ ბუკონისკის სიტყვებით: „ვეუსურვოთ ერთმანეთს მეტი სიყვარული ხელოვნებისადმი და მეტი პატივისცემა საკუთარი თავის მიმართ“.



დიდგონიშვნელოვანი მივლინა

გურამ ენუქიძე

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ყრილობა დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივ და განსაკუთრებით მუსიკალურ ცხოვრებაში. ეს კანონზომიერი და ბუნებრივი ფაქტია, რადგან მუსიკა, როგორც ხელოვნების დარგი, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ადამიანის სულიერი ჩამოყალიბების რთულ პროცესში. როდესაც ვლაპარაკობთ მუსიკალური ცხოვრების განვითარების ერთ გარკვეულ ეტაპზე, არ შეიძლება იგი განვიხილოთ განყენებულად, საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან მოწყვეტით.

განვიხილო პერიოდი თვალის უბრალთა გადავლენითაც გვაოცებს გრანდიოზულობით. ღრმა და ტყეადი შინაარსით, მოვლენათა მრავალმხრიობით და, რაც მთავარია, ზრუნვით საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობის ამაღლებისათვის. ამას მოწმობს სკკპ XXV და საქ. კპ XXV ყრილობები, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციები, პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკის ტრიუმფი, საბჭოთა ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი წიხვლა. ხალხისა და პარტიის ერთიანობის ნათელი დადასტურებაა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებიც... საბჭოეთის ქვეყნის ცხოვრების მნიშვნელოვანი ეტაპების მხატვრული განზოგადების შესანიშნავი ნიმუშია ლ. ი. ბრენენვის წიგნი — მოგონებები: „მცირე მიწა“, „აღორჩინება“ და „ყამირი“. ამ მოკლე, არასრულ ჩამოთვლაშიც კი ნათელია, როგორ იზრდება, ყალიბდება და ვითარდება საბჭოთა ქვეყანა, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო.

ცხადია, საბჭოთა საქართველო არ რჩება ამ პროცესების მიღმა და იგი თავისი გარჯით საბაბო ავიდის იკავებს მომემ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის. ამის დასტურია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს მეექვსე და საქართ-

ველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის გადამა-ვალი წითელი დროშა.

ჩვენ მიეჩვენო ამ ფაქტს, როგორც რიგითი მოვლენის, ჩვეულებრივი ამბის აღნიშვნას, მაგრამ ეს ხომ იმ დიდი შრომის, სიბეჯითის შედეგია, რასაც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი ატარებს სკკპ ცკ-ის 1972 წლისა და მისი შემდგომი დადგენილებების ცხოვრებაში განსახორციელებლად. არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ დღეიწი „ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ხალხისათვის“ — გახდა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ღირსების საქმედ. იმ ცნობილი მოვლენების შემდეგ, როდესაც საქართველოს პარტიულ ორგანიზაციის სათავეში ჩაუდგა ახმ. ე. შვებარდნაძე.

განსაკუთრებულ მიღწევად უნდა ჩაითვალოს საზოგადოებრივი აზრის გაჯანსაღება, მისი დამოკიდებულების გამოკვეთა მანერ გამოვლენათა მიმართ. ის, რომ მომხვეჭული მოსაკვეთია, ჩვენთან უკვე დავას არ იწვევს.

მარტო 1978 წელს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მოცულობა 1975 წელთან შედარებით გაიზარდა 20 პროცენტით და მეტად, ხოლო ეროვნული შემოსავალი 23 პროცენტით, ხუთწლიანი გვიგით გათვალისწინებული 16 პროცენტის ნაცვლად. მათე ხუთწლიების სამი წლის გვიგის გადაჭარბებით რეალიზებული იქნა 408 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების მამრეწველო პროდუქტია.

ზარისხის სახელმწიფო ნიშანი ახლა აქვს 1600-ზე მეტი დასახელების პროდუქტისა.

უკანასკნელი წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი მიღწევები მოიპოვა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ. გასულ 1978 წელს რესპუბლიკაში წარმოებულა 2 მილიარდ მანეთზე მეტი ღირებულების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტია, რაც 8-ჯერ მეტია 1913 წელს წარმოებულ ოდენობაზე და 3,2-ჯერ აღემატება 1940 წლის მიღწეულ დონეს.

მიმდინარე ხუთწლიდის პირველი სამი წლის განმავლობაში რესპუბლიკაში აიგო 4,8 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები — საბინო პირობები გაკუთხოვნიდა 74 ათასამდე ოჯახს. გაფართოვდა განმრთვლობის დაცვისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების დაწესებულებათა ქსელი და მატერიალური ბაზა.

უკანასკნელ წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ რესპუბლიკის მთიანი რაიონების ციონომიკის განმტკიცებას, მოსახლეობის კეთილდღეობისა და სოციალურ-კულტურული დონის ამაღლების საკითხებს.

საკეპლბოატაციოდ გადაეცა ზუგდიდი-მესტიის კეთილმოწყობილი გზა. დიდი ყურადღება ეთმობა მთათუშეთის სოციალურ-კინომიკურ და კულტურულ განვითარებას. ამ მხრივ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თორღვას აბანო-ომალოს გზის მშენებლობა.

უკანასკნელ წლებში ჩვენს რესპუბლიკაში ბევრი რამ გაკეთდა ქართული კულტურის განვითარებისა და აყვავებისათვის:

შეიქმნა კულტურის ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველო, რომელიც სათავეში ჩაუდგება ისეთ უმნიშვნელოვანეს საქმეს, როგორცაა კულტურის ძეგლთა აღდგენა და აღსაბაყია. უკვე გაბადა პირველი ნაბიჯები — მივიღე საქართველოს მასშტაბით, ფართო საზოგადოების მონაწილეობით აღიწესება საქართველოს კულტურის ძეგლები.

საქართველოს მხატვრებმა მიიღეს კარგი საჩუქარი — მხატვართა კავშირს გადაეცა სასტუმრო „ინტურისტის“ ყოფილი შენობა.

გასულ წელს დამთავრდა ზ. ფალაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის რეკონსტრუქცია. მარნეულსა და გურჯაანში შეიქმნა დიდ სამაგიულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვებისადმი მიძღვნილი მემორიალები — „ჯარისკაცის მამა“ და „კიდევაც დაიზრდებიან“.

დაარსდა 4 ლიტერატურული ოლმანახი: „კრიტიკის“, „განთიადის“, „საზრუნვე“, „რიწა“. შეიქმნა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ ქუთაისის ფილიალი; შეიქმნა საქართველოს მუერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგია.

დაარსდა მინიატურების სახელმწიფო თეატრი, პანტომიმის სახელმწიფო თეატრი, კინოსტუდიასთან — „თეატრი-სტუდია“, მალე გაიხსნება ახალი თეატრი ლენინის რაიონში. კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ შეიქმნება ორი შემოქმედებითი გაერთიანება, აგრეთვე კინოკაფითიანება „რეზიუტი“.

დაწესდა მაჩაბლის სახელობის პრემია საუკე-

თესო თარგმანისათვის, ამას გარდა, ხუთი ყოველწლიური პრემია მწერლობის სხვადასხვა დარგის მიხედვით.

გაიხსნა სამაფუნო დარბაზები ქუთაისისა და ზესტაფონში.

გასულ წელს ფართო მასშტაბით აღინიშნა ისეთი მნიშვნელოვანი თარიღები, როგორცაა პირველი ქართული წერილობითი ლიტერატურული ძეგლის იაკობ ცურტაველის „შუშანიის წამების“ 1500, „დედადნის“ 100, ილია ჭავჭავაძის დაბადებისა და 140 წლის იუბილეები.

საქართველოში ჩატარდა საბჭოთა ლიტერატურის დღეები, რომლებიც იქცა ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა ძმობის ჭეშმარიტ წყვილად.

ქართული კინემატოგრაფიის მხარდ ავტორიტეტს მოწოდებს თბილისში გამართული სსრკ კინემატოგრაფისტთა კავშირის სამდივნოს გაფართოებული სხდომა, რომელიც მიეძღვნა ქართული კინოსხელოვნების დღევანდელი განვითარებისა და მისი განვითარების პრობლემების განხილვას. ქართული კინოს წარმატებებზე უდავოდ მეტყველებს მრავალრიცხოვანი გამარჯვებები საკავშირო თუ საერთაშორისო ასპარეზზე.

აღსანიშნავია უკანასკნელ წლებში ქართული თეატრალური ხელოვნების საკავშირო და საერთაშორისო აღიარება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პერიფერიული თეატრების წარმატებები საკავშირო ასპარეზზე. ყოველივე ეს შედეგია იმ ზრუნვისა, რასაც პარტია და მთავრობა იჩენენ საბჭოთა ხელოვნების წინსვლისა და განვითარებისათვის.

ამ კუთხით თუ შეგვიდგეთ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის საქმიანობას, უნდა ვაღიაროთ, რომ იგი კვალში ჩაუდგა დღევანდელ საქართველოს და თავის საუკეთესო წარმომადგენლების მეშვეობით საკუთარი წვლილი შეაქვს საბჭოთა კულტურის აღმავლობის საქმეში. განსაკუთრებით ხასჯასასმელია ქართველ კომპოზიტორთა და მუსიკოსთა წარმატებები არა მარტო რესპუბლიკის, არამედ საბჭოთა ქვეყნისა და მის ფარგლებს გარეთ. მისასაღმებელია, რომ ქართულ კომპოზიტორთა დღევანდელი წარმატებები აღინიშნება არა როგორც გამარჯვება ცალკეული შემოქმედისა, არამედ როგორც გაგრძელება იმ ბრწყინვალე ტრადიციებისა, რომელიც აქვს ქართულ მუსიკას და რომელიც დღის ასე ლამაზად, ეფექტურად წარმოაჩენს საბჭოთა საქართველოს კულტურას.

ყრილობა ჩატარებული მუშაობის შეჯამებაც არის, მომავალი პერსპექტივების დახედავად, იმ სიძნელეების ფოკუსში ამოცანება, რომელთა გადალახვაც გადაუდებელი ამოცანებაა. უპირველეს ყოვლისა, კი კავშირის თითოეული წევრი კარგად უნდა გრძობდეს თავის მოქალაქეობრივ მოვალეობას ხალხისა და კულტურის წინაშე, ყველამ თავისი თავი დიდი კოლექტივის განუყოფელ ნაწილად უნდა ჩათვალოს, განუყოფელ წე-



ვრად, რომელსაც არა მარტო ესა თუ ის შეღავათი ეძლევა, არამედ მეტიც მოიხიბვება.

შემოქმედებითი კავშირის წევრს, ისევე როგორც ყველა საბჭოთა მოქალაქეს, უპირველეს ყოვლისა, მოიხიბვება თანამედროვეობისადმი ინტერესი და ერთგულება. გაიხსენით ვ. ი. ლენინის სიტყვები: „არ შეიძლება სასოჯადოებაში ცხოვრობდეს და სასოჯადოებისაგან თავისუფალი იყოს“...

რესპუბლიკის ცხოვრებაში საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის წვლილი გამოიხატება არა მხოლოდ ჩატარებულ ღონისძიებებით, არამედ კომპოზიტორთა მიერ შექმნილი მუსიკის ზემოქმედებით ჩვენს ხალხზე. თვით ეს ზემოქმედება რაიმე ზუსტი ხელსაწყოთი არ გაიზომება. სამუშაოდ, არაა გამოძიებული სოციოლოგიური კვლევის ისეთი ფორმები, ეს ზემოქმედება უფრო ღრმა და საფუძვლიანი მეცნიერული ძიების საგნად რომ იქცეს. ერთი რამ კი ცხადია — ადამიანზე ზემოქმედების მიხედვით შეუძლია მხოლოდ იმას, რაც აქტუალურია, რაც მის სასიცოცხლო საკითხებს ეხმარება, რაც თანამედროვე ადამიანის ემოციურ ცხოვრებას, მის ინტელექტს, მის ხასიათს და ზნეს შეეხატვის. თუ ხელოვნებამ საერთოდ, მუსიკალურმა ხელოვნებამ კერძოდ, ყოველივე ამის გამოხატვა შეძლო, მისდამო ინტერესი არასოდეს შეუნდლება. ამიტომაც, რომ ქართული საბჭოთა მუსიკის საუკეთესო ნიმუშები, შექმნილი დეველოპმენტით და ამაღლარი ოსტატებისა თუ საშუალო ან ახალგაზრდა თაობის კომპოზიტორთა მიერ, ჩვენი ცხოვრების, ჩვენი რთული დროის ვეებათადღევის, უკეთესი მომავლისადმი ადამიანთა სწრაფვის უტყუარი, მხატვრული და ზნეობრივი სიღამაზით გამსჭვალული დოკუმენტებია, რომლებიც მუსიკის ერთი თაობებს ამცნობს ჩვენი დროის სუნთქვას, ჩვენი ეპოქის ამაღლებულ მოვლენებს, ჩვენი ცხოვრების განუმეორებელ დინებას.

თანამედროვეობისადმი ჭეშმარიტი ერთგულება ნიშნავს იმ ტენდენციების გათვალისწინებას, რაც სასოჯადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულად იქცევა. ჩვენი მრავალფეროვანი სახელმწიფოს და ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილეში უმნიშვნელოვანესი სასოჯადოებრივი-ზნეობრივი პრობლემა გახლავთ შრომობელთა ინტერნაციონალური სულიკვეთებით აღზრდა. ამიტომ არას, რომ ჩვენ ერთა შორის მეგობრობას, ძმობასა და თანამშრომლობის პრინციპებს თანმიმდევრულად ვიცავთ. ინტერნაციონალიზმი ჩვენი პარტიის, ჩვენი სახელმწიფოს, ჩვენი ხალხის ცხოვრების ქვაკუთხედი. ხელოვნება ამ დიდ მიზანს ვერ გამოითქმება. ამ მიზართვით მისასაღებელია კომპოზიტორთა კავშირის, საქართველოს მუსიკოსების მოღვაწეობა. მისასაღებელია ის ღონისძიებები, რომლებიც კავშირმა საანგარიშო პერიოდში ჩაატარა — ინტერნაციონალური მუსიკალური კერების დაარსება, კერძოდ ახალციხეში, ერ-

თობლივი ფესტივალები სხვადასხვა რესპუბლიკის მუსიკოსებთან ერთად, ამირეჯავისის მუსიკალური გაზაფხული, რუსული მუსიკის ფესტივალი საქართველოში და ქართული მუსიკის დღეები მოსკოვში, გაცვლითი კონცერტები და სხვა. ცხადია, რომ ამ ხასიათის ღონისძიებები მომავალშიც უნდა გაფართოვდეს და გაღრმავდეს, ახალი თვისობრივი ნიშნები შეიძინოს.

ამირეჯავისის მუსიკალური გაზაფხულისათვის კავშირმა სპეციალური კრებულები გამოსცა სამი რესპუბლიკის მუსიკალურ მოღვაწეთა თანამშრომლობით. კარგი იქნება, რომ ასეთი თანამშრომლობა გაგრძელდეს, ჩიბუჭნიოს ახალი ფორმები ამგვარ ურთიერთობათა გასამდიდრებლად. მისასაღებელია განზრახვა რუსულ-ქართული მუსიკალური ურთიერთობის მატანის გამოცემისა, რომელიც, თუ უნდა, ბევრ ახალ ფურცელს შემატებს რუსეთისა და საქართველოს შემოქმედებითი ინტელექტუალური მეგობრობისა და თანამშრომლობის ისტორიას.

ჩვენი ცხოვრების წინსვლამ, გაზრდილმა მოთხოვნებებმა დღის წესრიგში დააყენა პროფესიული ღონის ამაღლების საკითხი. ეს პრობლემა ხელოვნებისათვის ხომ უმნიშვნელოვანესი და მარადიულია, თუმცა არც იგი იზომება და იწონება. სამუშაოდ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენი მუსიკოსები, ვიუზდაც არის დამოუკიდებელი შრომითი ინდურ-ესთეტიკური აღზრდა, მათი მხატვრული გემოვნების დახვეწა და ჩამოყალიბება, ყოველთვის პრინციპულნი რილი არიან. ვინ უნდა იბრძოდოს მუსიკალური ნაწარმოების ღონის ამაღლებისათვის, ვინ უნდა იბრძოდოს წუნის აღგვიტისათვის თეატრში, ესტრადაზე, რადიო-ტელევიზიაში თუ თვითმოქმედ კოლექტივებში? ცხადია, ამ კითხვებზე მხოლოდ ერთი პასუხის გაცემა შეიძლება: ერთობლივად ყველა იმ ორგანიზაციამ თუ პიროვნებამ, რომლებსაც ქართული მუსიკის ბედი ახარია და, ალბათ, უპირველეს ყოვლისა, მაინც კომპოზიტორთა კავშირმა. მისი სიტყვა უნდა იყოს კომპეტენტური და გადამჭირული ყოველი ახალი ნაწარმოების შეფასების დროს. კულტურის სამინისტროს, კომპოზიტორთა კავშირის, მუსიკალურ-ქორეოგრაფიული სასოჯადოების, სათანადო სამუსიკო ორგანიზაციების შეთანხმებული, კოლგვალური მუშაობის გარეშე ხარისხის ამაღლებაზე ლაპარაკიც კი შეუძლებია.

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის სექციების მიერ წარმოდგენილი 222 ნაწარმოებიდან შესასრულებლად რეკომენდებული იყო 200. თავს ნებას მივცემთ და გქვს გამოთქვამთ, რომ ორასივე ნაწარმოები საჯაროდ შესრულებული იქნას იყოს. ხომ არ ნიშნავს ეს ფაქტი შემჩნევი რგოლების პროფესიული პრინციპულობის შესუსტებას ამ საკითხზე, ალბათ დაფიქრება საჭირო.

კომპოზიტორთა კავშირის წევრთა ნამოღვაწე-

რის მატერიალიზაცია — კავშირის მიერვე ჯერ-ჯერობით სუსტად ხორციელდება და ხშირად ცალკეულ პირთა აქტიურობისა და პირადი ინიციატივის შედეგი გახლავთ. კომპოზიტორთა კავშირმა უნდა შეძლოს თავისი სარეპერტუარო პოლიტიკის გატარება, მისი გეგმაზომიერი წარმართვა, რომ ფართო მსმენელს ყველა ჯანრის მხოლოდ მაღალმატერული მუსიკა მივაწოდოს.

ამ საკითხს ებმის მეორე პრობლემა, პრობლემა მსმენელისა, რომელთა რიცხვი დღითიდღე კლებულობს. ამ პრობლემაზე დაკვირვებელი, მეცნიერული ანალიზი სჭირდება, რათა გავარკვიოთ მიზეზები, რის შემდეგაც, ალბათ, „მკურნალობა“ გახდება შესაძლებელი. სამწუხაროდ, ჩვენს რესპუბლიკაში არცერთი სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაცია ამ საკითხის შესწავლას არ დაინტერესებულა და მხოლოდ ფაქტის კონსტატაციით კმაყოფილდება, ფაქტები კი მართლაც სავალალოა: რაღა უნდა ვთქვათ რიგით მსმენელზე, როდესაც საკონცერტო დარბაზებში, როგორც წესი, ვერ ნახავთ თვით მუსიკოსებს კოლეგის საავტორო საღამოსზე კი, ვერ ნახავთ ჩვენი მუსიკალური სასწავლებლებისა და კონსერვატორიის პედაგოგებსა და სტუდენტობას.

არ უნდა იყოს სწორი ზოგიერთ წერებში გაბატონებული მოსაზრება, რომ ე. წ. სერიოზული მუსიკა საესტრადო მუსიკის მომძლავრებამ, უფრო სწორად, მომრავლებამ დაზარალა. ცნობილი აზრი როლებსა და მსახიობების შესახებ ჩვენს საუბარს რომ მივსვლით, შევევიძლია ვთქვათ, არ არსებობს ცუდი და კარგი ჯანრი, არის ცუდი და კარგი მუსიკა. შეუძლებელია აღამინას კარგი ესტრადი ესმოდას, ხანდგილი ჯაზი უყვარდეს და, ამავე დროს, სერიოზული მუსიკისადმი ყრუ რჩებიდეს. სამწუხაროდ, ცუდი ესტრადია, მისი ცუდი ნიმუშები ისე რყვინს მსმენელს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, რომ მას ჭეშმარიტი ხელოვნება აღარ იტაცებს, აღარ აღუდგება. ეს საკითხებიც შესასწავლია და, ალბათ, დაუყოვნებლივ. მუსიკოსებში! ამა ჰკითხოთ თქვენს თავს, რას აკეთებთ ამ პრობლემის გადასაჭრელად, ყოველ შემთხვევაში, გასარკვევად მაინც? მერწმუნეთ, თქვენი რომ მუსიკისმოყვარულეთან უფრო მეტიორ ურთიერთობა გქონდეთ, აუცილებლად შეგავლენას მოახდენდით მათზე, შევლებდით თქვენი ავტორიტეტით მათი ინტერესების გაღვივებას და წარმატებას. ყველაფერს რომ თავი დაეკარებთ, ნათუ არ განიტერესებთ იმათი აზრი, ვისთვისაც თქვენი მუსიკა დაწერილი?

მისასლმებელია, რომ კომპოზიტორთა კავშირმა გააფართოვა ურთიერთობა მშრომლებთან, რომ კომპოზიტორთა და მშრომლებელთა ერთი ნაწილი, ვიმოთრებ, ერთი ნაწილი, ხშირად კავშირის კონცერტებით ფაბრიკებსა და ქარხნებში, მშენებლობებზე, საკოლმერუნო მინდვრებში. მაგრამ საქმისათვის კარგი იქნებოდა,

რომ ეს შეხვედრები მხოლოდ მუსიკის მოსმენა არ იყოს, არამედ გულახდილი და მისაწვდომი საუბარიც, აზრთა გაზიარება, რათა მსმენელნი მეორე კონცერტზეც მოვიდნენ და თქვენთან ხელახალი შეხვედრის სურვილიც გაუნდნათ.

ყველა ამ საკითხის გადაწყვეტას და გარკვევაში ჩვენი მუსიკალური კრიტიკაც სცოდნეს. მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ სკვპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების მიღებიდან ხუთ წელზე მეტი გავიდა, ჩვენს მუსიკალურ კრიტიკაში ჯერ კიდევ არ იგრძნობა რაადგილური ძვრები. უნდა გვახსოვდეს, რომ პარტია, ჩვენი საზოგადოების წარმმართველი ძალა, განსაზღვრავს გენერალურ ხაზს, სტრატეგიასა და ტაქტიკას ჩვენი საზოგადოების განვითარებისა. მისი განხორციელება კი თითოეული საბჭოთა მოქალაქის ვალია. ვინ უნდა გაატაროს ცხოვრებაში დადგენილების მოთხოვნები და დებულებები, თუ არა რესპუბლიკის მუსიკალური ცხოვრების მეთაურებმა და წარმმართველებმა? განა დასაძალოა, რომ რესპუბლიკურ არსებია ძალზე იშვიათად ქვეყნდება პირთვნილი კეთილშობილურებით გაქვნილი კრიტიკული წერილები, რომ ჩვენი გახვებით თუ ჟურნალები, რადიო თუ ტელევიზია ჯერ კიდევ პანეგირიკული ხასიათის სტატიებით იკვებება! დროა სამუდამოდ მოვეულოთ ბოლო პარადოქსობასა და თვალუბრებს ნაწილის შეყრას, მას აღასოდეს სიკეთე არ მოუტანია, ჩვენ კი დარწმუნებულნი ვართ, რომ კავშირში მხოლოდ მუსიკის სიკეთის მოსურნეები უნდა იყვნენ!

ესაიდა, საუბარია არა იმაზე, რომ ყველამ ერთნაირად ჭრას და კეროს. თქვენ კარგად მოგახსენებიათ, რა დიდ ყურადღებას უთმობს პარტია შემოქმედთა თავისუფლებას, რაზეც ლაპარაკი იყო აშხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საანგარიშო მიხსენებაში პარტიის XXV ყრილობისადმი. თქვენ, ალბათ, კარგად გახსოვთ ვ. ი. ლენინის დებულება ლიტერატურის შესახებ, რომელიც ხელოვნების სხვა დარგებზეც უნდა განავრცოთ. იგი წერდა: „უდავოა, ლიტერატურული საქმე ყველაზე ნაკლებ ემორჩილება მექანიკურ შეთანხმებებს, ნივლიერებას, უმრავლესობის ბატონობას უმცირესობაზე. უდავოა, ამ საქმეში უშუაველად საჭიროა მეტი გასაქანა მიეცეს აზრსა და ფანტაზიას, ფორმასა და შინაარსს“ („პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“). ამასთან ერთად, ხელოვნება უნდა ემორჩილებოდეს საზოგადოებრივ ინტერესებს, პარტიულობასა და ხალხურობის პრინციპებს. ეს განასაზღვრავს პარტიის. მისი ცენტრალური კომიტეტის დამოკიდებულებას ლიტერატურისა და ხელოვნების მოვლასთანადმი.

კომპოზიტორთა კავშირი მუსიკალური კულტურის, როგორც სისტემის გარკვეული რგოლია და ამ სისტემის ეფექტურობა ბევრად დაამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მუშაობს კერძოდ ეს



რგოლი. ამიტომ, ჩვენის აზრით, კომპოზიტორთა კავშირმა რეალური მონაწილეობა უნდა მიიღოს მუკავალურ დაწესებულებათა მუშაობაში — თეატრები იქნება ეს, მუსიკალურ-საგანმანათლებლო ორგანიზაციები თუ სხვა. კომპოზიტორთა კავშირი მათთან ერთად უნდა აგებდეს პასუხს მუშაობის გაზარტვისათვის. ჩვენი წამყვანი მუსიკოსები უფრო აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ სხვადასხვა სამხატვრო საბჭოებში, სარეპერტუარო კომისიებთა თუ სხვა ორგანიზაციების მუშაობაში, იქ, სადაც შემოქმედებითი საკითხები წყდება. ასეთი თანამშრომლობა თუნდაც იმისათვისაა საჭირო, რომ მეტი ყურადღება მიექცეს მუსიკალური აღზრდისა თუ მუსიკის პოპულარიზაციის ფორმებს. ასეთია თუნდაც, თვითშემოქმედება, რომელსაც პროფესიული მუსიკოსები ჯერჯერობა ყურადღებას არ აქცევენ. ხომ ცხადია, რომ ჩვენში ცოტა იქნება ე. წ. მასობრივი ხასიათის სიმღერები, ამ თუ იქნება, მათი გავრცელებისა და პოპულარიზაციის საქმე შესაფერის დონეზე არ დგას. ჩვენში მასობრივი სიმღერა სარგონობლად ჩამორჩება, თითო-ორთა კონკურსი მასობრივი, სამოქალაქო სიმღერის საქმეს ვერ უშველის. ამ მხრივაც კომპოზიტორთა კავშირმა გეგმიანი და მიზანდასახული მუშაობა უნდა ჩაატაროს. ამაში ბრალი მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ საზოგადოებასაც მიუძღვის. თვითშემოქმედება ჩვენი კულტურული წინსვლის დასაყრდენი უნდა იყოს, ხოლო მოყვარულთა ზიარება კემშიარტი მუსიკისადმი — მისი მიზიარის ფორმა. არსებითად კი შეიმჩნევა ტენდენცია, რომ ხალასი თვითშემოქმედება თანდათან გზს უთმობს ნახევრად პროფესიულ მუსიკალურ კოლექტივებს. რომლებიც კომერციული ინტერესებით არიან შემოფარგლულნი. ამ მოვლენას უნდა მიხედონ იმ ორგანიზაციებმა — კულტურის სამინისტრომ, ფილარმონიამ, კომპოზიტორთა კავშირმა, ყველამ, ვისაც ჩვენი მუსიკის ბედი აწუხებს. კომპოზიტორების უპირველესი ვალი კი თვითშემოქმედების სათანადო რეპერტუარით მონარაგებაა.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ მუსიკის გამოყენებით მხარეზე, რომელიც შრომელთა ესტეტური აღზრდის ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა. არ უნდა დაგავიწყდეს, რომ მუსიკა დღეს ქლდის არა მარტო საოციწერტო დარბაზებში, არამედ პარკებში, რესტორნებში, ტრანსპორტსა და სტადიონებზე, რომ დღეს გასასიყარი მოსწავლეებმა არარეგულირებული მუსიკალური ინფორმაციისა, რომელიც თვითდინებით მიდის აღმანამდე. სათანადო ორგანიზაციების მოვლილობა დაუცხრომლად ებრძოლონ მუსიკალურ წესს ყოფით სფეროში, რადგან იგი რყვნის გემოვნებას, მუსიკალურ ორიენტაციას აკარგვინებს გაუჩვეულ ყურს. ყოფითი მუსიკის საკითხები დიდ ყურადღებას იმსახურებს და მისი გადაჭ-

რამი აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ კომპოზიტორებმა და მუსიკისკონდენტებმა.

ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ნათქვამია, რომ ქართული საბჭოთა პროფესიული მუსიკის ერთ-ერთი მძლავრი საყრდენი უმდიდრესი, მრავალსაუკუნოვანი ხალხური მუსიკალური ტრადიციები გაზღავთ. ეს ასეა, მაგრამ ისიც სომ უდავოა, რომ დღესდღეობით — ქართული მუსიკალური ფოლკლორის მეცნიერული შესწავლა ჯერ კიდევ ვერ დასა თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე. ალბათ, ეს საკითხი სერიოზული მკვლელობის საგანი უნდა გახდეს, იმისათვის, რომ ამ მიმართულებით მუშაობამ მიიღოს გეგმაზომიერი და სისტემატური ხასიათი.

უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილებები, რომლებიც რესპუბლიკის კულტურული მშენებლობის გაუმჯობესების საქმეს ემსახურება, მათ შორის: „ქართული საბჭოთა კონტრატორაფიის შემდგომი განვითარების ღონისძიებთა შესახებ“, „საქართველოს შვერალთა კავშირის მუშაობის შესახებ შრომელთა ინტერნაციონალური აღზრდასათვის“, „რესპუბლიკის სახელმწიფო თეატრების რეპერტუარის შესახებ“, „რესპუბლიკის სამხატვრო უმაღლესი სასწავლებლების მუშაობის შესახებ“, „მხატვართა კავშირის მუშაობის შესახებ“, „რესპუბლიკაში ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ“, „საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მუშაობის შესახებ და სხვა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა დადგენილებას შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“, რომელმაც დასახა ახალგაზრდა შემოქმედებითი კადრების იდეური და პროფესიული მომზადებისა და წრთობის ღონის ამბდლების გზები და ფორმები. დადგენილებაში შემოქმედებითი კავშირებს, მათ შორის კომპოზიტორთა კავშირსაც, დაევა ახალგაზრდა შემოქმედებთან მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესება, ამ მუშაობაში შერწყმა გულისხმეირი დამოკიდებულებისა მომთხოვნელობასა და პრინციპულობასთან, ღირსეული ახალგაზრდობის მიზნევა კავშირში და სხვ. როგორც ვიცი, კომპოზიტორთა კავშირში ამ ბოლო წლებში 29 ახალგაზრდა იყო მიღებული. იმედი უნდა ვქონიოთ, რომ ეს ახალგაზრდები ნდობას მთლიანად გაამართლებენ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ჯერჯერობით კავშირის წევრები არ არიან, მათ უნდა შეეწყოს ხელი იდეური და პროფესიული დონის ამაღლებაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კომპოზიტორთა კავშირი კონსერვატორიასთან ერთად მხედველობიდან არ უნდა კარგავდეს უმაღლესადამიარებულ ახალგაზრდობას, მუმიდე კონტაქტში უნდა იყოს მასთან.

შემოქმედებითი ფუნქციების გათანაწორების ეს პრინციპი, ოდითგანვე რომ დაკყვება ჩვენს ხალხურ მუსიკას, მას ტემპარიტად თანამედროვე ფლერადობას ანიჭებს და მომღერლებისგან მოითხოვს დახვეწილ მუსიკალურ აზროვნებას, ვირტუოზული საშემსრულებლო ტექნიკის ფლობას, ოსტატობას. ამ თვისებებს დღენიდაც ამტკიცებენ ანსამბლ „რუსთავის“ მომღერლები — მ. გონაშვილი, ნ. გელაშვილი, ჯ. ყოლბაია, ა. ტულუში, ი. მათიკაშვილი, ტ. ონაშვილი, სხვებიც — ჩინებულად ფლობენ სოლო და ანსამბლური მუზიკირების ხელოვნებას და ამით გვაძლვენ საშემსრულებლო უნივერსალაზმის შესანიშნავ მაგალიტს.

ანსამბლ „რუსთავს“ არა მარტო თავისი შემოქმედებითი ფუნქცია აქვს გათვითცნობიერებულა, არამედ გარკვეული აქვს ეთიკური, მოქალაქეობრივი პოზიციაც. ეს პოზიცია პატრიოტულ გზეს აძლევს მის მოღვაწეობას და გამოჰყავს ანსამბლი პროფესიული ინტერესების ვიწრო სფეროდან საზოგადოებრივი ცხოვრების ვრცელ ასპარეზზე. ამ პოზიციის წყალობითაა ანსამბლის მოღვაწეობა ასეთი შინაარსიანი, ნაყოფიერი, მრავალწინაგოვანი ამიტომაც ასე სასვე და დატვირთული მისი ცხოვრებას ყოველი დღე, ყოველი წუთი.

ანსამბლი „რუსთავი“ დღენიადაც გზავს. საოცრად მრავალფეროვანია მისი საგასტროლო ცხოვრების რუკა, რომელზედაც დიდი ადგილი ეთმობა საკონცერტო გამოსვლებს საბჭოთა კავშირის ამა თუ იმ კუთხეში, სახლავარეთის ქვეყნებშიც. „რუსთავი“ ქართულ ხალხურ მუსიკას უდიდეს წარმატებით გაუკავა გზავრობაში — საფრანგეთსა და ესპანეთში, იტალიასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ავსტრიაში, ბელგიასა თუ იუგოსლავიაში, სადაც მრავალჯერ დაღწეულია მრავალფეროვან მსმენელზე ქართული ხალხური მუსიკის ზემოქმედების უდიდეს ძალაში. ამასთან ერთად, „რუსთავი“ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საკონცერტო გამოსვლებს საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში. ანსამბლი მშობლიური ქვეყნის წიაღიდან არა მარტო ითვისებს ხალხური მუსიკის ტრადიციებს, არამედ ხალხსაც უბრუნებს მის მიერ შექმნილ მემკვიდრეობას, რითაც აღძვრებს ლტოლვასა და ინტერესს ხალხური სიძღვრისადმი.

ანსამბლი „რუსთავი“ ხშირად უწევს ხოლმე ძველურობას საბჭოთა ქვეყნის ამა თუ იმ კუთხიდან, სახლავარეთიდან ჩამოსულ სტუმრებს, რომლებიც დიდი ინტერესით ეცნობიან ჩვენს მრავალსაკუთროვან კულტურას, ეთნოგრაფიას, არქეოლოგიას, ხუროთმოძღვრებასა და სახვითი ხელოვნების უნიკალურ ძეგლებს. ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების ამ შესანიშნავ პანორამას ავსებენ და ამდიდრებენ ქართული საგალობლები, რომლებსაც ანსამბლი ასრულებს ჩვენი ტაძრებისა და ფრესკების ატმოსფეროში და ამით თავის მხრივაც ამჟღავნებს ქართველი ხალხის ესთეტიკური აზროვნების მრავალფეროვნებასა და სიღაღადს.

ქართული საგალობლების შესწავლა ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს ანსამბლ „რუსთავისთვის“. ეს სურვილი და მისწრაფება განსაკუთრებით საყურადღებოა და მისასაღებელი, რადგან სწორედ საგალობლებიდან იღებს სათავეს ქართული პროფესიული მუსიკალური აზროვნება, რომელმაც განვითარების უმაღლეს მწვერვალს ჯერ კიდევ IX-XII საუკუნეებში მიადგინა. ივანე ჯავახიშვილის აზრით, „...თუ არა ამაზე უწინარეს, IX საუკუნეში მაინც უკვე ყოფილა გალობის სწავლების მოძღვრება, რომელსაც „ხმითა სასწავლი სწავლია“ წოდებია“...

მართლაც, ქართულ გელსიებისა და მონასტრებთან, აგრეთვე უცხოეთში ქართული კულტურის ცენტრებთან არსებულ სემინარებსა და აკადემიებში, განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა სოლო და საგუნდო სიმღერის ხელოვნებას. ამ კრებებში, რომლებიც მოღვაწეობდნენ მცხეთაში, თბილისში, გელათში, იყალთოში, აგრეთვე იერუსალიმში, ათონში, პეტრიწონსა და სხვაგანაც, ეროვნულ ავთოგრაფიულსა და კომპოზიციურ ლიტურატურასთან ერთად ქართული საგალობლებიც იქ-

მნებოდა. ამ კრებებში მოღვაწეობდნენ შესანიშნავი საგუნდო კაპელები, იზრდებოდნენ მომღერალ-გალობლები, საგუნდო ხელოვნების დიდი ოსტატები.

IX-XIII საუკუნეების ქართულ ხელნაწერებში აღბეჭდილია დიდებული სახელები გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორებისა, კომპოზიტორების, მომღერალ-გალობლების, რომლებიც გვეს აძლევენ და წარმართავენ ეროვნული მუსიკალური კულტურის განვითარებას. მათ შორის აღსანიშნავია გიორგი და ფერეხ მთაწმინდელეები, იოანე და სტეფანე მტკვარელები, მიქელ მოდერაცილი, კათალიკოსი არსენი, იოანე მინჩი. მათი შეცადილებით შექმნილი ქართული ნეგურები დაწვრილობა, რომლის საშუალებითაც საქათლოლები ჩაწერა. ჩვენამდე მოღწეულია კართული საგალობლების რამდენიმე კრებული მათ შორის უძველესია გამოჩენილი კომპოზიტორის მიქელ მოდერაცილის მიერ შედგენილი კრებული, რომელიც X საუკუნეს განეკუთვნება. ამ კრებულის საფუძველზე შესაძლებელია მსჯელობა ქართველი მუსიკოსების აზროვნებაზე, პროფესიონალიზმზე, რეპროდუქციონზე. არსებითად აქედან იწყება ქართული პროფესიული მუსიკალური კულტურის წვლადი რეცხვა.

ქართული საგალობლები დღემდე არაა სათანადოდ შესწავლილი და გამოკვლეული. არადა, მათ ისეთივე მოვლა-პატრონობა სჭირდებათ, როგორც ჩვენს უნიკალურ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს. მით უფრო, რომ მათ შორის ჭრახვობს გასაოცარი ხელისტური ერთიანობა, დამყარებულია შესანიშნავი შემოქმედებითი კავშირი.

ანსამბლ „რუსთავის“ სასახლოდ უნდა ითქვას, რომ იგი საგალობლებს გზავნით, გატაცებით, სიყვარულით სწავლობს, იკვლევს და ასრულებს, რითაც ფასადუდებელი წვლილი შეაქვს ქართული ხალხის ამ დიდებული სულიერი მემკვიდრეობის აღდგენა-აღორძინების საქმეში.

დაბოლოს, მხარდაჭერა და დახმარება სჭირდება თვით ანსამბლ „რუსთავისს“, რომელიც ხშირად აწევდება სხვადასხვა სახის წინააღმდეგობებს. უცნაურია, მაგრამ ფაქტია — ამ შესანიშნავ კოლექტივს დღემდე არა აქვს გამოყოფილი სარეპეტიციო ადგილი. სამეცადინო ოთახის ყოველდღიურ მუშა-ძიებაში იკავრება დრო, ენერჯია, ხალისი. ანსამბლ „რუსთავის“ ყოველ წვერს უნდა შეექმნას სათანადო პირობები შრომისა და ცხოვრებისათვის, თუკი გვინდა ამ ანსამბლის შენარჩუნება, თუკი გვინდა, რომ მისი თავდადებული მოღვაწეობა, მიმართული ეროვნული კულტურის საკვირდოდ, კონკრეტულად ასეთივე წარმატებით ვითარდებოდეს.


ირინა



ნონა გუნია

ჯანდოიერი

სწორილი ბალერინა, საქართველოს სახალხო არტისტი ირინე ჯანდოიერი ორი ათეული წელია წარმატებით მოღვაწეობს ქართულ საბალეტო სცენაზე. შესანიშნავი ფიზიკური მონაცემების გამო მან ჯერ კიდევ თბილისის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში მოიპოვა ნიჭიერი და პერსპექტიული მოცეკვავის სახელი. სწეულის პლასტიკური გამომსახველობა, მოძრაობის გრაფიკული სიმკვეთრე და ლამაზი ფორმა იმთავითვე მეტყველებდა ი. ჯანდოიერის ფართო შემოქმედებით დიაპაზონზე. ასეთი მდიდარი ბუნებრივი მონაცემების წყალობით ი. ჯანდოიერი იმთავითვე ადვილად ეუფლებოდა ნებისმიერი სირთულის ქორეოგრაფიულ ტექსტს, თავისუფლად ასრულებდა ვირტუოზულ პასაჟებს, რომლებსაც ახასიათებს სიზუსტე, სინატიფე, ხატოვანება. ი. ჯანდოიერი არასოდეს კამაყოფილდება როლის გარეგნული დამუშავებით. მისი ძირითადი მიზანია გმირთა სულიერი ცხოვრების წარმოჩენა, ხსანა-



თების თანმიმდევრული გახსნა, დამოუკიდებელი შემოქმედებითი აზროვნება.

ი. ჯანდიერის დაოსტატებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის სსრკ სახალხო არტისტს ვ. ჭაბუკიანს, რომელსაც ახალგაზრდა მსახიობი სხვადასხვა ჟანრის ბალეტებში გამოჰყავდა, ხელს უწყობდა მისი საშემსრულებლო პალიტრის გამდიდრებას.

ი. ჯანდიერის პირველივე გამოსვლებმა (პა-დეტრუა ადანის ბალეტში „ჟიზელი“ და ფლორინას პარტია ჩაიკოვსკის „მძინარე მზეთუნახავში“) გამოაჩინეს მისი შემოქმედებითი ინდივიდუალობისათვის დამახასიათებელი თვისებები, საშემსრულებლო მანერაც — გარეგნულად თავდაჭერილი ცეკვიდან გამოკრთოდა თავისი ძალის რწმუნა. მისი ამაყად შემართული ცეკვა გამსჭვალული იყო შინაგანი პარმონით. ი. ჯანდიერმა წარმატებით განასახიერა ყველა ის პარტია, რომელზედაც იზრდებიან დამწყები ბალერინები. ამთვან აღსანიშნავია მინჯუსის „დონ-კიხოტი“ და ავრორას პარტია ჩაიკოვსკის „მძინარე მზეთუნახავში“.

„დონ-კიხოტში“ ი. ჯანდიერი მაცურებელს ღიბლავდა საშემსრულებლო ტექნიკით — ფრინველივით აფშვებოდა და ყველმოდერებული, ლამაზი, მაღალი, სხარტი ნახტომით „ჟეტქ“ სვენას შემოეღებოდა ხოლმე. ზეიმური განწყობილებით ცეკვავდა იგი ავრორას, რომელიც მისი პირველი დიდი როლი იყო. მის ცეკვას სიცოცხლის სიყვარულის გაუთვითნებობიერებელი შერძინება მსჭვალავდა.

წარმატებით გამოდიოდა ი. ჯანდიერი ქართულ ბალეტებში — დ. თორაძის „გორდასა“ და გრ.

კილიძის „სინათლეში“. ამ სპექტაკლების დამდგმელმა — ჩვენმა სახელთვანმა ბალეტმეისტერმა ვ. ჭაბუკიანმა ქალთა პარტიები გამსჭვალა ამაღლებული პოეზიით, ეროვნული თვისებებით და ამით შემსრულებლებს საშუალება მისცა გამოეხატათ როლისადმი საკუთარი დამოკიდებულება. ირემას პარტიის („გორდა“) პირველმა ინტერპრეტატორმა ვერა წიგნაძემ დაამკვიდრა ამ როლის საშემსრულებლო ტრადიცია, გამოხატულება რომ ჰპოვა ზეაწვეული რომანტიკით, უნაზესი ლირიზმით, ქალური სათნოებითა და მომზიბილვლობით აღსავსე პლასტიკურ გამაში. ი. ჯანდიერმა სცადა თავისებურად წარმოესახა ეს პერსონაჟები. თავდაჭერილი სიამაყით გამოირჩეოდა მისი ირემა, კეთილ ფერას („სინათლე“) კი ახასიათებდა გულთბადობა, სიბიბო, აქ მისი ყოველი ჟესტი, თვითეული პოზა მზრუნველობას გამოხატავდა.

ი. ჯანდიერის შემოქმედებით ბიოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა მირტას სახეს ადანის ბალეტში „ჟიზელი“, რომელშიც გამოხატულია სიყვარულის ორი სხვადასხვა გაგება. ჟიზელის გულწრფელ, თავადებულ სიყვარულს უპირისპირდება ვილისების მზრძანებლის მირტას სისასტიკე და შურისძიება, ი. ჯანდიერის ცეკვიდან შეუწყნარებლობა, გულცივობა გამოაქვიდა, ამასთან ერთად იგრძნობოდა ირვალური სახის ეფუფრობაც, როდესაც ჯანდიერი-მირტა ღამის ფერხულში თავის ვილისებს იმბობს, იგი მოძრაობს ისე მსუბუქად, თითქმის სვენის ფიცარნაგს არც კი უხება.

60-იანი წლებიდან ქართულ ბალეტში ახა-



ქეცადინეობაზე
ა. ბაგუთაძე
პედაგოგ-რეჟისორი


ლმა ტენდენციებმა იჩინა თავი. გამოხატულება რომ აქოვა ერთაქტიან ბალეტებში, ქორეოგრაფიული სიმფონიზმით გატაცებაში. 1962 წელს ვ. ჭაბუკიანმა ახლებურად დადგა „შოპენიანა“, დე-ვოლიასა და ბიზეს ნაწარმოებთა საფუძველზე შექმნა ბალეტი „ესპანური ესკიზები“, ლისტის სიმფონიური პრელუდიები საფუძველად დაედო „პოემა-ბალეტს“, დაიდგა რაველის „ბოლორო“, გერშვინის „ცისფერი რაფსოდია“. 1964 წელს წარმოდგენილი იქნა ბ. კვერნაძის „ქორეოგრაფიული ნოველები“ (დამდგმელი ზ. კიკალიშვილი), 1965 წელს რ. წულუკიძემ განახორციელა ა. ბალანჩინაძის ლირიკულ-ფსიქოლოგიური პოემა-ბალეტი „მწერი“ (ლერმონტოვის პოემის მიხედვით), 1966 წელს ბალეტმეისტრმა ა. ჭიჭინაძემ დადგა კამერული ბალეტები ჩაიკოვსკის „ფრანკესკა და რინინო“, რ. შტრაუსის „დონ ქუანი“, ს. ცინცაძის „პოემა-ბალეტი“.

აღნიშნულ დადგმებში ი. ჯანდიერმა წარმატებით განახორციელა მთელი რიგი პარტიები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლისტის მუსიკაზე დადგმული ორი პრელუდი — „სილფიდები“ და ცენტრალური პარტია ქორეოგრაფიულ კომპოზიციაში „სიცოცხლისცენა“, სადაც ი. ჯანდიერი მასურებელს ხიბლავდა მაღალი ნახტომებით, პაერში ჩამოყალიბებული მკვეთრი და ეფექტური პოზებით. სილამაზით იყო აღბეჭდილი ეროვნული მანერით შესრულებული ი. ჯანდიერის ცეკვა ბ. კვერნაძის ნოველაში „სტრაფტა“. ფსიქოლოგიური სიღრმითა და განცდათა სიმძაფრით გამოირჩეოდა მისი ფრანკესკა. ამ ბალეტში ი. ჯანდიერი სცენური მოქმედების მცირე დროში გადმო-

სცემდა თავისი გმირის გაორებულ განცდებს — პაოლოსადმი დაუოკებელ სიყვარულს, ქმრის ერთგულებას. ჩაიკოვსკის სიმფონიურ ფანტაზიაში დიდი დრამატიზმით აქლერებული ტრაგიკული ეპიზოდი დანტეს „ღვთებრივი კომედიიდან“ მოცეკვავებს მძაფრი ემოციური განცდების გადმოცემის საშუალებას აძლევდა. ი. ჯანდიერმაც დახვეწილი პლასტიკური გამომსახველობით, ექსპრესიული ცეკვით, სკულპტურულად გამოკვეთილი მოძრაობით გამოხატა თავისი გმირის მღვღვარე სულიერი ცხოვრება.

სხვადასხვა ხელწერისა და სტილის ერთაქტიან ბალეტებში მონაწილეობას აქვს თავისი დადებითი მხარეები. მოცეკვავე ეუფლება მუსიკაში წვდომის, მისი შინაარსის ამოკითხვასა და გახსნის ხელოვნებას, ამიღერებს თავის ქორეოგრაფიულ ლექსიკასა და გამომსახველობით საშუალებებსაც. მაგრამ მოკლემეტრაჟიანი ბალეტები არ იძლევა სამსახიობო ოსტატობის სრულყოფის საშუალებას, რადგან აქ სხვადასხვაგვარი სცენური სიტუაციების უქონლობის გამო არ მიმდინარეობს მხატვრული სახეების განვითარების პროცესი.

ამის საშუალება ი. ჯანდიერს მიეცა ჩაიკოვსკის „ვედის ტაში“. ამ სპექტაკლში დღესაც იწრითობა მისი სამსახიობო ტალანტი. ოდესკა როლი ი. ჯანდიერს საფუძველანადად აქვს გააზრებული. ამ პარტიამო მან მიადწინა ფორმის და შინაარსის სრულ შესატყვისობას. ჯანდიერი-ოდესკა განცდების სამყარო ხასიათობრივადც რთულია და საინტერესო. ამ როლში ი. ჯანდიერი ამაყიყავა და წრუდელი, ნაზიყავა და კდემამოხილცე, მისი ყოველი მოძრაობა პოეტური და აღსაყავა



სპექტაკლის დაწყებამდე

შთავიწებთ. სრულიად სხვა თვისებებს ამჟღავნებს ი. ჯანდიერის ოდილიას როლში, სადაც იგი უკუაგდება რა მისთვის დამახასიათებელ თავშეკავებულ სტილს, მთელი არსებით ეძლევა ვენებათა დელეგებს, ცვეკვის სტიქიას.

ფართოდ გაიშალა ი. ჯანდიერის ნიჭი და ოსტატობა პროკოფიევის ბალეტში „გერია“, რომლის დადგმა 1966 წელს განახორციელა ვ. ჭაბუკიანი. მშვენიერად იყო გახსნილი ბალეტის დედაზრი, გამოსახული სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირებაში. სპექტაკლი აღსავსე იყო მკვეთრი და საინტერესო მიზანსცენებით, კომპოზიციებით, რომელთა საშუალებით ვითარდებოდა ზღაპრის მომხიბვლელი სიუჟეტი, ისინებოდა კონფლიქტები, ყალიბდებოდა ხასიათები. ირინე ჯანდიერი პირველ მოქმედებაში ანასიერებდა საწყალ, დაბეჭავებულ გერიას, მუდმეც სცენებში იგი თანდათან ღონიერდებოდა, მისი ცვეკვა ივსებოდა სილადითა და გრაციოზულობით. მეჯლისის სცენაში კი გერია-ჯანდიერი ღირსებით სავსე კეთილშობილებას ანასიერებდა. ბალეტ „გერიას“ ქორეოგრაფიამ გაამდიდრა ი. ჯანდიერის ცვეკვა გააზრებული პლასტიკური ნიუანსებით, რამაც გამოხატულება პპოვა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ კომპოზიტორ ე. დლონტის ბალეტში „განთიადი“, სადაც ი. ჯანდიერი ქალიშვილის როლს ასრულებდა. ამ ბალეტში ი. ჯანდიერის ცვეკვა გამოირჩეოდა განსაკუთრებული სითამამით, აქტი-

ური იმპულსური მოძრაობებით, ღირისისა და დრამატიზმის ოსტატური გამოხატვით.

ი. ჯანდიერის შემოქმედებით ბიოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილი ეთობა ლაურენსიასა (კრუინის „ლაურენსია“) და ჩელიტას (მინკუსის „დინ კიხორტი“) როლებს. ამ სპექტაკლებში, როგორც ფოკუსში, თავი მოიყარა ბალერინას საუკეთესო თვისებებმა — კლასიკურმა სიცხადემ და სახოვანებამ, საცვეკავო ხელწერის ვირტუოზულმა ტექნიკამ, აკადემიურმა სიზუსტემ და ტემპერამენტმა. ამ თვისებების წყალობით ი. ჯანდიერმა ბრინჯაოს მუდალი და ლაურეატის წოდება მოიპოვა 1969 წელს მოსკოვში გამართულ კლასიკური ცვეკვის საერთაშორისო კონკურსზე.

1973 წელს ზ. კიკელიშვილმა ქორეოგრაფიულ ენაზე აამეტყველა გლიუკის ოპერა „ორფეოსი“, რომელშიც ი. ჯანდიერი ევრიდიკეს როლს ასრულებდა. მან მშვენიერად იგრძო თავი ნატიფი ღირისის ამ ამაღლებულ სამყაროში.

1974 წლიდან, როცა დასს სათავეში ჩაუდგა ბალეტმეისტერი გიორგი ალექსიძე, ძირფესვიანად შეიცვალა ქართული ბალეტის კურსი, მისი სტილისტიკა და სარეპერტუარი პოლიტიკა. მან ერთის მხრივ, ყურადღება გაამახვილა ძველ კლასიკურ ბალეტებზე, რისთვისაც ლენინგრადიდან მოიწვიეს ცნობილი ბალეტმეისტრები, რომლებმაც აღადგინეს პეტრასსა და ფოკინის რედაქციები, ხოლო, მეორეს მხრივ, გაძლიერდა თანამშრომლობა ქართველ კომპოზიტორებთან ახალი ეროვნული საბალეტო სპექტაკლების შექმნის მიზნით. ასე შეიქმნა ბ. კვერნაძის „ბერეკაობა“, ს. ცინცაძის


„ანტიკური ესკიზები“, „დალი და მონადირე“,
ო. თაქთაქიშვილის „გურული სიმღერები“, რ. გა-
ბიჩვაძის „მელეა“.

გ. ალექსიძემ ყურადღება გაამახვილა ადამი-
ანის რთული, წინააღმდეგობრივი სულიერი ცხო-
ვრების წარმოსახვაზე. მის სპექტაკლებს მსჭვა-
ლავენ თანამედროვე რიტმები, მოტორული დინა-
მიკა, მკვეთრი და ტეხილი პლასტიკური ხასხები,
აკრობატული ხერხებიც. ირინე ჯანდიერი ორ-
განულად შეეთვისა ამ ახალ ქორეოგრაფიულ
სტილს. მაღალი საცეცვაო ტექნიკის წყალობით
იგი ადვილად დაეუფლა თანამედროვე პლასტი-
კურ ენასა და დინამიკას, არტისტული გზებით
ამეტყველა ქორეოსახეების შინაგანი ცხოვრების
მაჯასცემა. ყოველივე ეს ნათლად გამოჩნდა ს. ცი-
ნცაძის „ანტიკურ ესკიზებში“, კერძოდ კი ნოვე-
ლამი „აცისი და გალათია“, სადაც ი. ჯანდიერ-
მა ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით გადმოსცა
მოახლოებული საფრთხის მოლოდინი. ი. ჯანდი-
ერი ნარნარი ცეკვის ნაკადს აცისთან დუეტში
გაბედულად არღვევს ნერვიული, იმპულსური, ში-
ნანგანად დაძაბული მოძრაობებით, რითაც გამო-
ხატავს შიშის სამინილ შეგრძნებას.

ნამდვილი გამარჯვება მოუტანა ბალერინას მე-
დეას როლმა რ. გაბიჩვაძის ამავე სახელწოდების
ბალეტში, სადაც მან გამოავლინა ადამიანის სუ-
ლის ამოცნობის უნარი, მძაფრი და საწინააღმ-
დეგო ვნებების განსახიერების ნიჭი. ამ ბალეტში
მთელი სისასვით გამოჩნდა აქტიორული გარდა-
სახვის უნარი. ცეკვის საშუალებით ი. ჯანდი-
ერი იმდენად სახიერად გადმოსცემს მედეას
გრძნობისმიერი სამყაროს წიაღსვლებს, რომ
სცენაზე ყოფნის ყოველი წუთი გამსჭვალუ-
ლია ინტენსიური შემოქმედებითი აზროვნებით,
არტისტული ცხოვრებით. ამ ბალეტში ირინე ჯან-
დიერის ხელოვნება ტრადიციის სიმბლესზეა ასუ-
ლი.

ირინე ჯანდიერი შემოქმედებითი სიმწიფის
ხანაშია. მის შემოქმედებაში პარმონიულად თანა-
არსებობენ კლასიკური და თანამედროვე ქორე-
ოგრაფიული პარტიტურები, რომელთა გახსნაში
მას დიდ დახმარებას უწევს არა მარტო ოსტატო-
ბა და პროფესიონალიზმი, არამედ სტილის შეგ-
რძნების უტყუარი ალღო, მუსიკის აღქმის
იშვითი უნარი. ამიტომ არიან ესოდენ ცოცხალი
და განსხვავებული ირინე ჯანდიერის მიერ შექ-
მნილი ქორეოგრაფიული სახეები, მაყურებელს
რომ ხიზბლავენ სილამაზით, სისადავით, სასოვა-
ნებითა და რიტმით.

ფოტოები ი. კვანტორაძისა



ი. ჯანდიერი — მედეა



მაცხოვრი კინო და თანამედროვეობა

ელდარ შენგელაია

1972 წლის 2 აგვისტოს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო საგანგებო დადგენილება „საბჭოთა კინემატოგრაფიის შემდგომი განვითარების შესახებ“. ამ მნიშვნელოვან და საჭირო პარტიულ დოკუმენტში აღსახა ჩვენი კინემატოგრაფიული ცხოვრების ყველა ასპექტი, დასახულ იქნა საბჭოთა კინემატოგრაფიის შემდგომი განვითარების გზები. ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილებამ, ისევე როგორც XXIV და XXV ყრილობათა მასალებმა, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის შრომებში ჩამოყალიბებულმა დებულებებმა ლიტერატურასა და ხელოვნებაზე კეთილი ნაყოფი გამოიღო, იქცა მძლავრ სტიმულად ყველა საბჭოთა კინემატოგრაფისტის, მათ შორის ქართველ კინოსელოვანთა საქმიანობის გააქტიურებისთვის.

ზაზი მინდა გავუსვა იმ გარემოებას, რომ ჩვენი იდეოლოგიური ფრონტის გააქტიურება აუცილებელი იყო ამ პერიოდში, ვინაიდან დადგენილების გამოკვეყნება დაუმთავრა პერიოდს, როდესაც დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადა ნეგატიურ მოვლენებს. საქართველოს კომპარტიის მიერ აღებულია გეზმა დიდად შეუწყო ხელი ეროვნული კინოსელოვნების შემდგომ აღმავლობას.

1973 წელს, ზემოთ აღნიშნული დადგენილების შეაბამისად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოსცა დადგენილებები რესპუბლიკაში როგორც მხატვრული ისე დოკუმენტური კინემატოგრაფიის შემდგომი განვითარების შესახებ. ეს დადგენილება ქართველ კინემატოგრაფისტთა იდეოლოგიური და პრაქტიკული საქმიანობის ნიშანდობლად იქცა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მინისტრთა საბჭო დიდ დახმარებას უწყვენ ქართველ კინემატოგრაფისტებს მთელი რიგი ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებების. დასა-

სრულს უახლოვდება ფირის დამამუშავებელი საამქროს ახალი ნაგებობის მშენებლობა, მნიშვნელოვანი თანხა გამოიყო კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სარემონტოდ და დოკუმენტური ფილმების სტუდიის რეკონსტრუქციისთვის; შეიქმნა კინომასხიობის სტუდია, აიგო კინომასხიობის თეატრის შენობა; კინოსტუდია „ქართულ ფილმთან“ შეიქმნა სასცენარო სახელისნო; დაიწყო კინომასალების კრებულის „კინოს“ გამოცემა; ორ წელიწადში ერთხელ იმართება რესპუბლიკური კინოფესტივალი; თბილისის თეატრალურ ინსტიტუტთან დაარსდა კინოფაკულტეტი და მოეწყო სასწავლო სტუდია.

კინოსელოვნებაზე პარტიისა და მთავრობის ზრუნვამ თავისი შედეგი გამოიღო, რაზეც ქართული კინოს უკანასკნელი წლების მნიშვნელოვანი ნაწარმოებები მეტყველებენ.

საერთაშორისო კინოფესტივალებსა და რეტროსპექტივებზე ქართულ ფილმებს არაერთხელ ზედა წილად პატივი წარმოედგინა საბჭოთა კინემატოგრაფი. ქართული ფილმების კვირეულები და რეტროსპექტული ჩვენება მოეწყო ბულგარეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ინგლისში, აშშ, დასავლეთ ბერლინში, საბერძნეთში. ჩვენი კინოსელოვნების წარმატებებს ადასტურებს ამ ფესტივალთა პრიზები და პრემიები, რომლითაც, დიასაც, თავს ვიწონებთ. მაგრამ ჩვენი საზოგადოების წინსვლა მოითხოვს კინოსელოვნების განუწყვეტელ განახლებასა და განვითარებას. ამიტომაც მიღწეულით დაკმაყოფილება და თვითდამშვიდება შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს ჩვენითვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლო პლენუმზე სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა ამხანაგი ე. შევარდნაძე, რომ საჭიროა „გამოვიმუშაოთ ჩვენში გაკეთებული დაუკმაყოფილებლობის გრძინა“. სწორედ საკუ-

თარი შემოქმედებისადმი ობიექტური და თვითკრიტიკული დამოკიდებულება უნდა აჩვენებდეს ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობას, ეს უნდა გახდეს ჩვენი წინსვლის საფინანსო.

კინოსტუდია, „ქართული ფილმის“ საუკეთესო ნაწარმოებებს გამოარჩევს არა მარტო მაღალი პროფესიონალიზმი და ესთეტიკური ღირებულება, არამედ ავტორის უნარი ჩაწვდეს თანამედროვე ცხოვრების დამახასიათებელ მოვლენებს, რთულ ცხოვრებისეულ პროცესებს, მისცეს მათ ზეიშობრივი შეფასება. ჯერ კიდევ იმ პერიოდში, როდესაც ჩვენში იქმნებოდა საზოგადოებრივი აზრი ფსახუბლეის ცხოვრებაში არსებული ამა თუ იმ ნეგატიური მოვლენის შესახებ, ქართულმა კინომ მაღალმოქალაქეობრივი პოზიციებიდან გამოხატა თავისი დამოკიდებულება შექმნილი ვითარების მიმართ ფილმების „ალავერდობა“ (რეჟისორი გ. შუგულაია), „გიორგიშვილი“ (რეჟისორი თ. იოსელიანი) და „როცა აყვავდება ნუში“ (რეჟისორი ლ. ლოღობერიძე).

ქართველ კინემატოგრაფისტთა მიერ კურადღება დღესაც თანამედროვე ცხოვრების უმნიშვნელოვანეს პროცესებზე გამახვილებული. უკანასკნელ წლებში გამოშვებული ფილმების 75 პროცენტი თანამედროვეობას ქვდებდა. მათ შორის აღსანიშნავია რ. ჩხეიძის „ნერგები“, ლ. ლოღობერიძის „რამდენიმე ინტერესოზ პირად საკითხებზე“, მ. კოკოსაშვილის „გზა მშვიდობისა, ჯაყო“ და „მწვერვალი“, ე. მეტელიას „არ დაიჯერო, რომ აღარა ვარ“, რ. ესაძის „ერთი ნახვით შეყვარება“.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ლ. ლოღობერიძის ახალი ფილმი „რამდენიმე ინტერესოზ პირად საკითხებზე“. ეს ფილმი ინტერესს იწვევს ხასიათის წყდომით თანამედროვე ადამიანის, პიროვნების, რომელიც თავს კრიტიკული პრობლემის თანამაჟოლედ განიხილს. ფილმის გმირი უპირველეს ყოვლისა, ინდივიდია, პიროვნება. ხასიათის ამგვარი დამუშავებით ლ. ლოღობერიძის ფილმი სცილდება კამერული საოჯახო დრამის ფარგლებს და თანამედროვეობის მნიშვნელოვან სოციალურ პრობლემებს წვდება.

საინტერესოდ წყვეტს თანამედროვე თემას გიორგი შენგელაია ფილმში „ქვიშანი დარჩებიან“. აღსანიშნავია მნიშვნელოვანი ყოველდღიურობაზე დაყრდნობით რეჟისორი თვალს ადევნებს იმ ურთიერთობებს, რომელიც ისახება სოფლის მეკიდრთა და მშენებელთა შორის, სოფლად ტექნიკური პროგრესის კავშირის ადამიანთა ბედთან.

საინტერესოდ იკვლევს თანამედროვე სოფელს, მასში მიმდინარე პროცესებს თ. იოსელიანი ფილმში „პასტრალი“. სოფლად კეთილდღეობის ზრდასთან ერთად განსაკუთრებულ აზრს და მნიშვნელობას იძენს მომხმარებელური ინსტიტუტების კრიტიკა. მეორეს მხრივ, ფილმის პათოსი მიმართულია სულიერი საწყისის, ცხოვრებაში ზნეობრივი იდეალების განმტკიცებისაკენ, რაც ფილმში ელვის სახეშია ხორც-შესხობილი.

რ. ესაძის ფილმში „ერთი ნახვით შეყვარება“, სადაც ორგანულ პრიციპად ვლადიკავია მიჩნეული, ავტორმა ასახა ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი მრავალეროვანი კუთხის სოლიტური თავისებურება და ამ ფონზე მოგვიბოძო ყმაწვილური სიყვარულის სასაცილო და სვედისმომგვერილი ამბავი.

უკანასკნელი წლების ამ ოთხ ფილმზე ყურადღება იმით გამოიხატება, რომ ეს ნაწარმოებები მაღალპროფესიულ ღირებულებას შესრულებული და მკაფიოდ გამოხატავენ ქართული კინოს ტენდენციების თანამედროვე პრიციპების ასახვის გზაზე.

თანამედროვე თემა მრავალი ასპექტის შემცველია და ცალკეული წარმატებით ამ გზაზე ვერ დავგაყოფილებით. ყოველდღიურად ფართოდება თანამედროვე ცხოვრების, თანამედროვე ადამიანის კვლევის არე, რაც გამოწვეულია მისი საქმიანობის სფეროს გაფართოებით და მისი, როგორც პიროვნების დამკვიდრებით. როდესაც ვამბობთ, რომ დღეს-დღეობით არა გვაქვს საინტერესო ფილმი მუშათა კლასზე, ეს იმას ნიშნავს, რომ ქართულ კინემატოგრაფს ყურადღების გარეშე რჩება საინტერესო საყარო, რომელშიც მრავალი საკრიტიკო პრიციპი არა მარტო საინტერესო ხასიათია. 1977 წლის 18 ნოემბრის მოწინავე წერილში ვაზუთი „პრავდა“ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მისამართით სამართლიანად აღნიშნავდა, რომ უკანასკნელ წლებში ცოტაა ნაწარმოებები, რომელიც ახლებურად დავგანახებდა ჩვენს თანამედროვეობას, კომუნისზმის მშენებელ თანამედროვე ადამიანს. ზემოთ აღნიშნული ოთხი კინონაწარმოები და რ. ჩხეიძის ფილმი „რაიკომის მდივანი“, რომელიც ახლანაზა ჩაყვა წარმოებაში, რადუნაშე ცვლის საქმის ვითარებას. მაგრამ არც ესაა საკმარისი. საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირმა, სახკინომ და კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ ყველა პირობა უნდა შეუქმნან რეჟისორებს, სცენარისტებს, რათა მათ მიერ თავისი ყურადღება დაუთმონ მთავარ ამოცანას—თანამედროვე ცხოვრების პრობლემებს, ჩვენი თანამედროვეობის ტვეად, მასშტაბურ ხასიათებს. ამისათვის შემოქმედებით მოღვაწეებთან მუშაობას ეპიზოდური კი არა, მისტებატური ხასიათი უნდა ჰქონდეს. აუცილებელია თანამედროვე თემის ამსახველ საუკეთესო სცენაზე კონკურსების გამოცხადება, დრამატურგებისა და რეჟისორების მივლინება მშენებლობებსა და კოლმურენობებში. მაგრამ ყოველივე ეს სასურველ შედეგს არ მოგვცევს, თუკი თანამედროვე თემაზე ორიენტირება ჩვენს პოლიტიკადა არ იქცევა. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სასცენარო სახელოსნომ უნდა შეასრულოს. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ამ სახელოსნოს მუშაობის ტვეებს, რომელშიც უნდა ჩანდეს ქართული კინოს არა მარტო დღევანდელი და ხვალისი და, არამედ მისი პერსპექტივით, თანამედროვე თემაციკისა და პრობლემათა წრის გაფართოების ტენდენცია.

უკანასკნელ წლებში კინოსტუდია „ქართული ფილმში“ განჩნდა კინორამატურგთა რაზმი, რომელიც ქმნის ნამდვილ კინოლიტერატურას, შესწევს დროის მიერ დასახულ ამოცანათა გადაჭრის უნარი. კინოსთან სისხლობრივულად დაკავშირებულ ამ ადამიანთა რიგებში არიან საშუალო და ახალგაზრდა თაობის კინორამატურგები ს. კლენტი, რ. ინანიშვილი, რ. ჭიჭივილი, რ. ბერალიძე, რ. თაბუკაშვილი, რ. გაბრიანი, დ. ჭელიძე, ა. ჭიჭინაძე, ე. ახვლედიანი, ზ. აპირიაშვილი, ა. სალუქვაძე, რ. კვეციავა, ვ. გიგაშვილი. საკმარისი ამ ხელოვანთა ნიჭისა და უნარის ვეგმაზობრივი გამოყენება და წარმართვა.



თანამედროვე თემაზე ძაღვის კონცენტრაციისაკენ მიწოდებასთან ერთად სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ნათქვამია, რომ საჭიროა შეიქმნას მარალმცხოვრული „ოქმატურად და სტილურად მრავალფეროვანი კინონაწარმოები, რომლებიც განავითარებენ სოციალისტური რეალიზმის საუკეთესო ტრადიციებს“. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ნაწარმოებები მრავალფეროვანი უნდა იყოს არა მარტო სტილით, არამედ ინტონაციით, მასალისადმი დამოკიდებულებით და მისი მიწოდების მეთოდით. ამასთან დაკავშირებით რამდენიმე სატყვე მინდა ვთქვა ქართულ კომედიასზე, რომელსაც დღესაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩვენს კინოპროცესში.

საუკეთესო ქართული კინოკომედიები არასდროს ყოფილა მხოლოდ გასართობი, კომერციული სანახაობა. ქართულ კინოკომედიას მდიდარი ტრადიცია აქვს. 20-30-იანი წლების კომედიები არამარტო მრავალფეროვნებით ხასიათდებოდა (პამფლეტიანი ყიდით სოციალურ კომედიამდე), არამედ, უპირველეს ყოვლისა, თითოეული მათგანი დროს ეგმიანებოდა. სამკარისა ვაგისნებით, მ. მიტაბერიძის „ჩემი ბებია“, მ. ჭიაურელის „სახარდა“, ს. ფალავანდიშვილის „ეჟექტუსა მზიანის“, მ. გელოვანის „ახალგაზრდობა იმარჯობს“, დ. როდელის „დაკარგული საშობაო“. ამ ფილმების კრიტიკული პათოსი მიმართული იყო ყოველგვარ იმის წინააღმდეგ, რაც ხელს უშლიდა ახალი საზოგადოების წინსვლას. ამასთანავე ეს ფილმები ამკვიდრებდნენ ახალ გმირს, ახალ იდეურ-ეთიკურ იდეას.

ამ ტრადიციებზე დაყრდნობით თანამედროვე ქართულ კინოკომედიას უფრო თამამად შეუვას ერთი ნაწარმოების ჩარჩოებში განსხვავებული ქართული ელემენტები. არსებობდა, ქართული კინოკომედია დღეს თანამედროვე ცხოვრებაზე ხელეფანის გამჟღავნებელი და უშუალო მსჯელობის ასპარეზია. ამასთანვე კომედიურ კინონაწარმოებებში ეთიკური და ზნეობრივი პრობლემები წარმოდგენილია არა დეკლარაციულად, არამედ ჭარბული ელფერით. ამაღლებული ხშირად სასაცილოთაა შინაგნული, რათა ზნეობისა და მორალის შემსახებ სერიოზული სჯა-ბაისის დროს შედგებოდეს გამომწვეული და გაშიფრული არ იყოს.

საუკეთესო ქართული კინოკომედიების სიუჟეტური სტრუქტურა აბსტრაქტული გამომავლის შემოქმედებით როდი ყალიბდება. ხაზგორი ხასიათის რეალურბობა, თვითმყოფადობა შერწყმული ავტორთა სოციალურ-საზოგადოებრივ მგრანობელობასთან, წარმართავს მათ ძიებებს. და შემთხვევით არ არის, რომ ამ დახვეწილი ქართული სტილისტიკის ნიადაგზე 60-იან წლებში გაჩნდა ქართული კინემატოგრაფის ისეთი მოვლენა, როგორცაა მოკლემეტრაჟიანი კინეზონიატურა („ქორილი“, „ქოლგა“, „მუჟიკოსები“, „ქვევანი“, „სერუდა და სხვ). ახალგაზრდა, დამწყებ კინემატოგრაფისტთა მიერ დადგენილ ამ ფილმებში იგრძნობოდა მათგანდგენილების სიასხლე, მათ ეკრანზე მოქონდათ ფართო აზრის შემცველი ახალი ცხოვრებისეული ურთიერთობები.

როცა ესაუბრობოთ ქართული კომედიური ფილმების ღირსებებზე, მათ განუწყვეტელი, როგორც პრობლემური ისე სტილისტურ განსაზღვრებაზე, არ შეიძლება არ შევხებოთ ერთ დამაფიქრებელ მოვლენას. უკანასკნელი წლების მთელ რიგ კინოკომედიებში იგრძნობა თემატური გაიოლების, გასართობი, ნაკლებად მომთხროფი მყურებლის მამებელი სურათე-

ბის შექმნის ტენდენცია. ეს ფილმები, ძირითადად, მსადასადას, მორად მასალაზე, უსაგნო კომიკურობაზე მკვებდნენ. ცხადია, მე სურვილიაც არ უარყოფო ჩვენში ექსცენტრიული აზრის განვითარების შესაძლებლობა, თუმცა ჩვენს ეროვნულ კულტურაში მისი ტრადიცია არ გავაჩნია. ამასთანავე ღრმად ვარ დაწინაურებული, რომ სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი ფილმების — „ნაძღვის“, „ლიონის ტრატის“, „თერმიტრის“, „ედელვანის“ და ა. შ. დამდგენის, კინოდრამატურგ რ. გაბრიადის მიერ არჩეული გზა უპერსპექტივია.

საგულსხმია, რომ როდესაც ფილმს მოკლდება მთავარი—მუდამ განვითარებად აზრში ხორცმცხმული იდეა, იგი ბევრს აგებს ესთეტიკური თვალსაზრისით და კარგავს დამაჯერებლობას. ასე მოხდა ნიჭიერი რეჟისორის ი. კვიციანიის ფილმში „ქელაქი ანარა“. ხელოვანი მთელი პასუხისმგებლობით არ მოვიკიდა დრამატურგიულ საფუძველს, რამაც კვალად დანაწიდა რეჟისორსაც. ფილმში, რომელიც ჩაფიქრებულ იყო როგორც სოციალური სატრია, ვერ მიიღწია მიზანს. თუმცა აქ იყო ნიჭიერად მოფიქრებული ეპიზოდები, რეჟისორული მიგნებები, აქტიურიული მიღწევები.

დამაფიქრებელია რეჟისორ თ. ფალავანდიშვილის ნამუშევარიც. (ფილმსხმობა მის ორ უკანასკნელ ფილმში — „მოხეტიალე ღარიანები“ და „რაჭა — ჩემი სიყვარული“). ამ სურათებში იგრძნობა ახალგაზრდა ავტორის ტენდენცია დაადგეს მამარაგული აზრობრივი და ფორმალური სტერეოტიპების გზას, ეგოიზმს გააზრებული სქემატიზმი, პოფიქსიული უპასუხისმგებლობა და დაუდევრობა.

უკეთესის სურვილს იწვევს ფილმების დრამატურგიაც, მიუხედავად იმისა, რომ სცენარის ავტორები ჩვენი კინემატოგრაფიის აღიარებული ოსტატები რ. გაბრიადი და ს. ჟღენტი არიან.

ამგვარი უპასუხისმგებლობის შედეგი ჩანს ისიც, რომ ჩვენი კინოსტილისტის მარკო ცისფერ ეკრანზეზე გამოვიდა მუსიკალური ფილმი „უმცროსი და“ (რეჟისორი ზ. კაკაბაძე). გაუთმა პრადამ თავის წერილში „როცა სიმღერა აღარ მველის“ სამართლიანად გააკრიტიკა ეს სურათი, შეახსენა კინოსტილია „ქართული ფილმი“ ჩვენი ეროვნული კომედიური და მუსიკალური ფილმების საუკეთესო ტრადიციები, შეახსენა, რომ უნდა გაუფრთხილებს საკუთარი მარკის ღირსებებს. ასეთი ფილმები, ჩვენს აზრით, ყველაზე მყარ და შეურიგებელ კრიტიკის მთავარბობა.

ქართველი კინემატოგრაფისტების ყურადღების ცენტრში კვლავაც რჩება ეროვნული ლიტერატურა. ქართულ ეკრანზე საცაისაც თავისი ტრადიცია აქვს. ჯერ კიდევ 20-იან წლებში ქართულ კინოში ერთმანეთს შეეჯახა ლიტერატურისადმი კინემატოგრაფის ორ მასპრობისად დამოკიდებულება — ილუსტრატორული და შემოქმედებითი, ნოვაციორული.

ლიტერატურული ნაწარმოებებისადმი ილუსტრატორული დამოკიდებულება, მისი ზედაპირული წაყიხვა, ე. წ. „სიტყვის ერთგულება“ ხშირად იწვევს პირველწყაროს აზრის, მისი ფილოსოფიის სერიოზულ დანაკარგს. ამის მიწეუხი, უპირველეს ყოვლისა, იმას, რომ რეჟისორს არ შეუძლება უნარი გაითავისოს ლიტერატურული ნაწარმოები, თანამედროვე ჭრილში გაიზაროს იგი და დროის კარნახით გააანაწილოს მახვილები. სამწუხაროდ, სწორედ ეს იგრძნობა დევი-



ამაშიძის ახალ ფილმში „ყვარყვარ თუთაბერი“. საქმეს ვერც ნიჭიერი მხასიხობის დღოდ ამაშიძის მონაწილეობამ უშეცვლა.

ბოლო წლების ცერანიზაციებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თინჯო აბულაძის შესანიშნავი ფილმი „ნახტობის ხე“, რომელიც წელს საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის პრემიით აღინიშნა.

თავსაკმაველი პათოსითაა აღსავსე მოკლემეტრაჟიანი ფილმი „სიციხელე ერმოსე“ (სერგეის ავტორი გ. ებრაღიძე, რეჟისორი ნ. სანიშვილი). საქართველოში რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი ეპიზოდის ფონზე ავტორები მოგვითმრობენ უშარლო რკინიგზელის ბედზე, მის თავდადებაზე, ფილმში მთავარ როლს ასრულებს ი. კახიანი. რომლის დამსახურება ფილმის წარმატებაში უდავოა.

ლიტერატურულ ნაწარმოებთა ცერანიზაცია გაცდა ეროვნული ლიტერატურის ფარგლებს, გაფართოვდა მისი პრობლემების წრე. მავალითად, გ. კალატოშვილიმ ლღვ ტოლსტოის ნაწარმოებების მიხედვით გადაიღო სატელევიზიო ფილმები „კავკასიის ტყვე“ და „კავკასიური მოთხრობები“. დაღესტნელი მწერლის ახმედ-საბ აბუ ბაქარის პირობის მიმართა თ. აბულაძემ და გადაიღო ფილმი „ყელსაბამი სატრფოსათვის“.

უროგნული ლიტერატურის ცერანიზაციის ტრადიციებს აგრძელებს მ. მანაგაძის ფილმი „ივანე კოტორაშვილის ამბავი“. დიდ ინტერესს იჩენს ქართული კინემატოგრაფია ახალი საინტერესო ნაწარმოებების მიმართაც. ჭ. მირიკიძის რომანის „დათა თუთაშისაი“ გამოშვების უმაღლეს დონეზე მისი ცერანიზაცია — გ. ლორთქიფანიძისა და გ. გაბაშვილის ამავ სახელწოდების შვიდსერიანი სატელევიზიო ფილმი. ტელეფილმების სტუდიის ნაწარმოებ „თუმ მეცხარესთან“ ერთად ამ ფილმმა საუფველო ჩაყარა ქართულ მრავალსერიიან სატელევიზიო კინემატოგრაფს.

თანამედროვეობის გრძნობა უნდა ახლდეს ისტორიულ და ისტორიულ-რეგოლუციურ თემაზე შექმნილ ფილმებსაც. ვერც ისტორიული ფაქტის მიწვევლობა და ვერც რეჟისურის და დრამატურგიის პროფესიონალიზმი ფილმს საინტერესოსა და მასშტაბურს ვერ გახდის, თუკი მის მიღმა არ იგრძნობა თანამედროვედ მოაზროვნე ხელოვანი. ამ მხრე უდაო წარმატებად უნდა ჩაითვალოს გ. კალატოშვილის ფილმი „ეი-მხრონი პაპა“.

საკვ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „საბჭოთა კინემატოგრაფიის შემდგომი განვითარების შესახებ“ საგანგებოდ არის მითითებული, რომ საბჭოთა ჭეყენის მომავალი თაობის, მოსწავლე ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდისა და სულიერი ჩამოყალიბების საქმეში დიდი როლი ივსრება კინოხელოვნებას. ცხადია, ამ ამოცანის შესრულება, უპირველეს ყოვლისა, საბავშვო და საყმაწვილო ფილმების ვალია. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ საბავშვო ფილმების რაოდენობითა და ხარისხით ქართული კინემატოგრაფია ვერ დაიტრიაბასებს. „ქაჯანა“, „მაგდანას ლურჯა“, „არდადეგები“, „მე, ბებია, ოლივი და ილარიანი“, „მე ვნუდავ მუსკა“, „როცა აყვავდა ნუში“, „ლილიონის ბიჭები“ — სხვადასხვა დროს შექმნილ ამ ფილმებს დღესაც სიახლოვნებით უყურებენ ბავშვებიც და მოზრდილებიც. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე გადაღებული კიდევ რამდენიმე სურათი: „ბიჭები ი-სამნის ქუჩიდან“, „კაცები“, „როცა დედები შინ არ არიან“ და სხვ. მაგრამ ეს, როგორც იტყვიან, უღვაში წვევითა კიდევ უფრო ცოცხა ამ მოკლე სიამი ჭეპრობითიან მხატვრული

ნაწარმოებები. ბავშვებისათვის შექმნილ ფილმებს შორის, არის პრობლემური სურათები. უფრო მეტიც, თითქოს დაუჯერებელია, მაგრამ ჩვენს კინოში არ არის უზარბის ცერანიზაციის ტრადიცია! დაბოლოს, საქართველოში არ აღმოჩნდა არცერთი რეჟისორი ბავშვებისათვის რომ ეწინააღმდეგებ და ამ საქმეს თავის სისხლხარცეულ საქმედ მიიჩნევდა.

1976 წელს თბილისში ჩატარდა სრულკინემატოგრაფიის-ტო კავშირის გამგეობის სამდივნოს კავშირით პლენუმი, რომელიც საბავშვო კინოს მიეძღვნა. პლენუმზე აღინიშნა ჩვენში საბავშვო კინოთეატრების, საბავშვო კლუბების, ბავშვებთან მეთოდური მუშაობის საფალლო მდგომარეობა. გაიგებთან ორი წელი. საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირთან შეიქმნა საბავშვო და საყმაწვილო ფილმების აცქცია, რომელსაც სათავეთ უდებს ამ საქმის ენთუზიასტო, ენერგიული აღამაინი კინორეჟისორი ნ. ნინუა. მიუხედავად სქების მიერ ჩატარებული ღონისძიებებისა, უკეთესობისაკენ ძვრები ჯერჯერობით არ იგრძნობა. ვფიქრობ, საკითხი რესპუბლიკაში საბავშვო კინოს მდგომარეობის შესახებ სახელმწიფო დონეზე უნდა აღიბნას. იმედი გვაქვს, რომ საქართველო და კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ხელმძღვანელობა დაგვებ-მარტა პლენუმზე მიღებულ გადაწყვეტილებათა პრაქტიკულ განხორციელებასში.

ახალგაზრდა ხელოვანთა შემოქმედებით წინსვლავე ზრუნვა კინემატოგრაფისტთა კავშირის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. ამ მხრე საქართველოს სახკინომ, კინოსტუდიამ და კინემატოგრაფისტთა კავშირმა ბგერი რამ გააკეთა. ახალგაზრდა ხელოვანთათვის, რომლებიც თავიანთ პირველ დამოუკიდებელ ფილმებზე მუშაობენ, შეიქმნა გაერთიანება „დებიუტი“. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე პირველი რეჟიმეტრაჟიანი ფილმები გადაიღეს რეჟისორებმა ლ. ელივამ, ი. ვივირაქემ, ა. ღლენტმა, ა. რუხიაშვილმა, გ. ხოჯავამ, გ. გაბისკირიამ. მათ შორის ყურადღებას იმსახრებს ა. რუხიაშვილის „ქომიკი“ და გ. კანდელიას „უბედურება“. არასდროს ამ ჭეუნდა ახალგაზრდობას ასეთი ყურადღება და შესაძლებლობები, როგორც დღეს. მათი დამოუკიდებლობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ახალგაზრდობა სრულად არ იყენებს ამ პირობებს, რომლებსაც მას უღებიათ. რა დასამალია, რომ 50-იანი და 60-იანი წლების დებიუტანთა განავალი უფრო აქტიური და თვალსაწიისი იყო. სწორედ მათ შემოიტანეს ახალი ნაკადი ჩვენს კინემატოგრაფიაში. ამ დებიუტებმა უმაღლესი მათვალენის ავტორთა შემოქმედებითი ინდივიდულობა, მათი მოსწავფებები და ინტერესების მრავალფეროვნება. სწორედ ეს აქტიურობა, ინტერესთა გაკავებლობა აკლია 70-იანი წლების ახალგაზრდობას. შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის დროს უნდა ვირჩევთ მეტ პრინციპულობას და მომთხიერებლობას, რათა მზრუნველობა მეურველობა არ გადაგვეცქვს. ჩვენ მივალენი ვართ მეტი დამოუკიდებლობა მოვთხოვით ახალგაზრდობას, თანამედროვეობაზე უპირინით გვტი. ჩვენს შემოქმედებით ახალგაზრდობაში, როგორც ყოვლისა, დამაფიქრებელია თვითღამ-შვიდების ერთგვარი ნიშნები. როგორც ჩანს, კავშირის შემოქმედებითის სექციებს, უპირველეს ყოვლისა კი ახალგაზრდობისა და კრიტიკის სექციებს მხედველობიდან გამოორთა ახალგაზრდა კავებთან მუშაობის ისეთი დღინმიწუნელოვანი ფაქტორი, როგორცაა მათი აღზრდა - მომთხიერებლობისა და თვითკრიტიკის სულისკვეთებითი.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მიღწევებსა და შემოქმედებებში პრობლემებზე საუბრის დროს ყოველმა ჩვენგანმა შეინარჩუნოს საღი აზრი და კრიტიკულობა. წარმატებებმა და ფესტივალებზე გამარჯვებამ თავბრუ არ უნდა დაგვახვიოს და პირუთენელი კრიტიკის დროსაც სიმშვიდე და ობიექტურობა არ დაგვიკარგოს. რა თქმა უნდა, ჩვენ სულაც არ ვაპირებთ დავადგეთ ი. ბოგომოლოვის — წერილის „ქართული კინო — სინამდვილისადმი დამოკიდებულება“ ავტორის და განსაკუთრებით ჟურნალ „ისკუსტეი კინოს“ რედაქციის პოზიციას, რომელმაც ეს წერილი გამოაქვეყნა სარედაქციო ბოლოსიტყვაობით. ასეთი არაკომპეტენტური კრიტიკა ვერაფერს არავის ჩვენს კინოს, იგი მხოლოდ ხელს გვიშლის მუშაობაში.

საგულისხმოა, რომ „ისკუსტეი კინოს“ რედაქციაში „მრავალ მაგიდასთან“ შეკრებილმა ცნობილმა საბჭოთა კინომცოდნეებმა, კრიტიკოსებმა და რეჟისორებმა ძირითადად მხარი არ დაუჭირეს ი. ბოგომოლოვის წერილს და რედაქციის ბოლოსიტყვაობას. განხილვისას გამოარული საუბარი სულ სხვა კალაპოტით წარიმართა. აქ საინტერესოდ, ღრმად და ობიექტურად განიხილეს ქართული კინოს ტრადიციები, მისი განვითარების ტენდენციები, ღირსებები და ნაკლოვანებები. ამ საუბარმა კიდევ ერთხელ დაადასტურა რაოდენ ცხოვლად არის დაინტერესებული კინემატოგრაფიული საზოგადოებრიობა ქართული კინოს ბედ-იბღობით. და ეს დაინტერესება გვაგალებს კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ ჩვენს საქმეს.

რამდენაე სიტყვით მინდა შევეხო ქართული კინოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სადღესიო პრობლემას — დაგვემეცხა და რეპერტუარის მასშტაბური თანაფარდობის პრობლემებს. რეპერტუარი ისე უნდა დაგვევით, რომ ყურადღებიდან არ გამოვგრჩეს მასშტაბური თემები და ეპიზოდები. რა თქმა უნდა, რთული და შეუძლებელიც კი არის ასეთი პოლიტიკის გატარება ესოდენ მცირე მოცულობის წარმოების პირობებში, როცა რეპერტუარი ერთი წლით ივსევა. სამაგიეროდ ისე, რომ სრულებით არ შეიბღალოს ხელოვანთა ინტერესები და მოთხოვნები, შეიძლება დაგვევით თემატური ბლოკები სამი-ხუთი წლით იმ ეპიკურ ფილმებზე ორიენტაციით, რომელთა ცენტრში ჩვენი თანამედროვეობის სასიათები, ხალხის ცხოვრების მასშტაბური მოვლენებია მოქცეული. ასეთი ნაწარმოებები ყოველთვის ორგანული იყო ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიისათვის. საკმარისია დავასახელოთ „ელისო“, „არსენა“, „ჯარისკაცის ნამა“. ჩვენ მოვალენი ვართ განვაფიქროთ ეს ტრადიცია.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ ისეთი ფილმების მემკვიდრენი ვართ, როგორცაა „წითელი ეშმაკუნები“, „ჯიმ შვანთი“, „ხაბარდა“, „ელისო“, „უკანასკნელი მასკარადი“, „დაკარგული სამოთხე“, „არსენა“. ეს მემკვიდრეობა ჩვენი მამების ანდერძად უნდა მივიჩნიოთ. ამ მემკვიდრეობის ღირსნი რომ ვიყოთ, უნდა შევწყვეტდეთ უნარი ნაკლოვანებების ფიზიკურად შეფასებისა, უნდა გვახსოვდეს, რომ ქართული კინოს ბედისათვის პასუხისმგებლობა გვისრება თითოეულ ხელოვანს — რეჟისორი იქნება ის, სცენარისტს თუ ოპერატორი.



პრს ისე დიდი ხანია რაც ქართული საბჭოთა სამედიო ხელოვნება ინტენსიური განვითარების გზას დაადა, მაგრამ დღეს უკვე დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბდა და თავისი ადგილი დაიმკვიდრა ქართულ ხელოვნებაში. ქართული მხატვრების მიერ შექმნილ მედლებში უკვე ნათლად გამოიკვეთა გარკვეული მხატვრული ტენდენციები, ასახვა ჰქონდა იმ ნიშნებმა, რომლებიც გააჩნია თანამედროვე სახეობი ხელოვნების ამ განსაკუთრებულ სახეს.

ამის დადასტურება იყო გამოცემული „მერანის“ საგამოფენო დარბაზში ექსპონირებული ქართული საბჭოთა სამედიო ხელოვნების პირველი რესპუბლიკური გამოფენა, რომელზეც მონაწილეობდა ასამდე მხატვარი — მოქანდაკეები, კერამიკოსები, გრაფიკოსები, არქიტექტორები.

მედლის გარკვეული ადგილი ეჭირა ისეთ ოსტატებს შემოქმედებაში, როგორც არიან ი. ნიკოლაძე, გ. სესიაშვილი, ირ. ოქროპირიძე. ეს კი მოწმობს, რომ დიდა სამედიო ხელოვნებით ქართველი მხატვრების დაინტერესება.

გამოფენის მოწყობის ორგანიზაციაში დიდი წვლილი მიუძღვის მოქანდაკე ლამარა ქველიძეს.

გ. დარჩია „ბავშვის საერთაშორისო წელი“; ლ. გოციორძი „დღეობა“; გ. ოჩიაური „ადიოთ ეგრამიშვილი“; ნ. ჩუბინიძე „ადიოთ აღმამეხელი“, ვ. ივანზა „დიმიტრი გულია“; ლ. ქველიძე „ქალის საერთაშორისო წელი“; გ. მიქაძე „ხალხური შემოქმედების მუზეუმი“; ე. ამაშუკელი „ალაქტონ ბაბიძე“.

საინტერესო გამოფენა

ნანა ყიფიანი

ბელოჯინების ამ სახეობაში მან თავისი მნიშვნელოვანი სიტყვა სთქვა. იგი იყო პირველი ქართველი მხატვარი, რომელმაც მოაწყო მედლების პერსონალური გამოფენა (1976 წელს).

გამოფენა მეტად მრავალფეროვანი იყო, როგორც თემატიკის მხრივ, ისე მხატვრული გამომსახველობითი საშუალებებით. ექსპოზიციაში

მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა პორტრეტულ მედლებს. ი. ნიკოლაძის, გ. ოჩიაურის, ლ. ქველიძის, გ. დოლიძის, ნ. ჩუბინიძის, ა. მჭედლიშვილის, გ. ლეკავას და სხვათა ნაწარმოებებმა წარმოგიდგინა სხვადასხვა დროისა და ეროვნების გამოჩენილ ადამიანთა პორტრეტების გალერეა.

დიდი ადგილი დაეთმო ბუნებისა და ისტორი-



ახალი აღმშენების — თანამედროვე გმირის უორკიერების პრობლემა ქართულ საზოგადოებაში

ნოდარ გურაბანიძე

„უტრადიციო გმირის“ ცოცხალი წარმოსახვა. რაც რევისორიას და მსახიობისაგან, საერთოდ თეატრის მთელი მხატვრული სასტემისაგან სრულიად ახალ საშუალებებსა და ხერხებს მოითხოვდა. თეატრი უნდა „გამოსთხოვებოდა“ როგორც ადგილობრივი-საზოგადოებრივი ფიგურები, ისე განუყვანებელი რომანტიული გმირები, როგორც სექსუალური, უსისხლო პერსონაჟები პროლეტარულ თეატრისა, ისე ექსპრესიონიზმის იდეალისტური, „ახალ ადამიანს“. მას უნდა შეეძინა ღრმადი განსხვავებული ახალი გმირი, რომელშიც რევოლუციის გამოცდილება და მისი განმანათლებელი პათოსი იქნებოდა გამოხატული. ასეთი იყო ისტორიის მოთხოვნა.

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც აქ პოლიტიკური, იდეური საკითხი (რევოლუციური, ახალ ცხოვრებაში შობილი გმირი) ორგანულად გადაიქცა მხატვრულ ესთეტიკურ საკითხში (ამ გმირის სტენოვანი განსახიერება).

ერთ-ერთი ძირითადი იდეურ-ესთეტიკური მომენტი, რომელსაც შედის სისტემაში — საბჭოთა თეატრის ნოვატორული სახე — და მრავალმხრივ განსაზღვრავს მას, გახლავთ ინდივიდუალიზმისა და მასის, პირადისა და საზოგადოებრივ-სახალხო ინტერესებისა და მისწრაფებების ერთიანობა, ამ საწყისების მონოლითურობა. თუ ქართული საბჭოთა თეატრის მავალით მოვიხილოთ, ვნახავთ, რომ მხოლოდ ქ. მარკანიშვილისა და ს. ახმეტელის გენიის შედეგად ვადა შესაძლებელი აშკარა ერთიანობის მხატვრული ხორც-შესხმა კლასიკური დრამატურგიის საფუძველზე. ეს თავისთავად იდეალად მწიფე იდეური ნოვატორული მოვლენა იყო. მაგრამ, ეს

იყო, პირობითად რომ ვთქვათ, „იძულებითი შედეგი“, განმარტავ უფრო დაწვრილებით: ეს იყო თანამედროვე ისტორიის, ამ დღევანდელი „დაწვრილი“ წარსულზე, თანამედროვეობა „ასწორება“ და წარსულს. ქ. მარკანიშვილი და ს. ახმეტელი, რომელიც მძაფრად გამოხატა თანამედროვეობას, ახალი დროის შესაბამისად იძულებულნი კლასიკური დრამატურგიის ინტერპრეტაციას. დიხ, მაშინ მოვარა იყო მომენტი ამ ინტერპრეტაციისა, რადგან „უფუნებოვანების“ მონარქისტულ სამყაროში არ იყო შესაძლებლობა ლაურენსიას, მენგოს და მთელი ხალხის (ამ შემთხვევაში გლეხობის) ერთიანობისა, მათი მონოლითური მსწრაფებებისა, ისევე როგორც „უარაღების“ სამყაროში არ არის ერთიანობა კარლ მორისა და ამზომებულ ტეტუნდობას (ამ შემთხვევაში რევოლუციური ახალგაზრდობის) შორის. აქვე შეგვიძლია დავსძინოთ, რომ აშკარა ერთიანობა გმირისა და რევოლუციური მასის ექსპრესიონისტულ სექტაკლებში მხოლოდ ქ. მარკანიშვილის იდეურ გამჭვირვებობასა და მხატვრულ ადრის უნდა მიეწეროს. სინამდვილეში კი (ამ შემთხვევაში დრამატურგიის) სურათი სხვაგვარი იყო. ლაურენსია და გლეხობა საბოლოო მითხვევას მონარქიზმში ხედავდნენ, ხოლო კარლ მორის ირგვლივ ბრძენა იყო გამუფებული და არა რევოლუციური ახალგაზრდობის ბოიკორ სული. ქ. მარკანიშვილმა და ს. ახმეტელმა ამ პიესების სცენური ინტერპრეტაციით შესძლეს ურთულესი აპოკალიფსა, გადაწყვეტა მათ ვიკინების გმირისა და მასის ერთიანობა იქ, სადაც შეაყვანა რომ ვთქვათ, ეს ფაქტობრივად და მასის ერთიანობა იქ, იდეურ-მხატვრული სამყაროს თითქოსდა შეუმჩნეველი შეცვლით,



ეს ნაწარმოებები გავრცელდნენ, როგორც თანამედროვე რევოლუციური-რამბლტული სულიერების გამოხატულები. მაგრამ, ვი-
შეორებ, ეს იყო ერთგვარი მალდატანება ამ დრამატურულ სამ-
საყარზე, შედეგი ახალი ინტერპრეტაციისა. ამ მოსაზრებას ადას-
ტურებს აგრეთვე ამავე პერიოდის შემოქმედება ლ. ვახტანგოვის,
ტ. შეივრილიძის და ა. თაიროსას.

ახლა კი პრობლემა „პირდაპირ“ იდგა. უკვე თანამედროვე
დრამატურგიაში იყო მოცემული სოციალური გმირისა და სოცია-
ლური ბუნების ერთიანობა. ახლა, თანამედროვე გმირი — კონ-
კრეტული ადამიანი, ინდივიდუალური თვისებებით აღჭურვილი ამა-
ვე დროს ცოცხალი მხარგრეული იყო ამ ქულისთვისებების, სა-
ინფანტო იყო გავიდა. ამოცანა გაცემული იყო იყო. რასაკ-
ვერცაა, ეს სირთულე იდგა არა მხოლოდ ქართული საბჭოთა თე-
ატრის, არამედ საბჭოთა რუსეთის თეატრების წინაშე, რომე-
ლთა, სმ მხრივ წინაგრ ტრადიციული შედეგ და მდღაში „ქონ-
დათ, და ამას გარდა, დრამატურგის უფრო თვალსაჩინო ნიმუშე-
ზეც ხელთ ეყვართ (ვ. მაიაკოვსკის „მისტერია ბუფი“).

ახლა საბჭოთა დრამატურგის, თანამედროვე სექტკლავის
შექმნის პროცესს თან ახლდა მჭიდრო პოლემიკა, ესთეტიკური მო-
სიყვივის მუცითი დაპირისპირება, თეატრის წინაშე მდგარ ახალ
პრობლემათა განსაზღვრული ინტერპრეტაცია, აქცენტებისა და
საზოგადოებრივი იდეოლოგიათა ერთგვარი გადაადგილება.

ქართული საბჭოთა თეატრის მიერ შექმნილი სექტკლავის
(მხედველობაში მაქვს თეატრული თანამედროვე სექტკლავები) მნიშ-
ვნელობა და ადგილი საბჭოთა თეატრის ვრცელ პანორამაში გან-
საზღვრება ამ ბრძოლისა და მოწვევების „გაფლანკონების“,
ქართულ სცენაზე შექმნილი სექტკლავები (რევოლუციური ბრძო-
ლებისა თუ თანამედროვე ცხოვრების ასახვული) გამოირჩევიან
კონკეტის თავისთავადობით, განუმეორებელი ერთგული ელ-
ემენტი, ჩამოკლებების, მიზნისა და ნოვატორიზმის სპეციფური
თვისებებით. მაგრამ ეს ყოველივე საბჭოთა თეატრში მიმდინარე
პროცესებისგან არაა დამოკიდებული, ეს შეუძლებელია. ქარ-
თული საბჭოთა თეატრის რეჟისორ-ნოვატორები ე. მაქსიმოვილი
და ს. ამბეტელი რუსული თეატრალური აზროვნების, მოსკოვსა და
ლენინგრადში გამოართული ცხვერ დისკუსიების, დრამატურგისა და
სცენის სიახლეების ურსში იყვნენ და ამ სიახლეებმა ამა თუ იო-
ვანობიწინდენარ, არამედ თავიანთ მიზნებსაც უკავშირდნენ
ქ. მიმდინარე პროცესებს. ეს კივე ქართული საბჭოთა თეატრის
უშუალო მოწაწილე იყო თეატრალური ბელოვნების ყოველი ნო-
ვატორული წინსვლისა.

რა უახლესი გამოცდილება ედო წინ ს. ამბეტელს ისეთი ის-
ტორიული მნიშვნელობის, ვიეტოდი, ქართულ საბჭოთა თეატრ-
ში რევოლუციური შემოღობების დაშქები სექტკლავის — მ.
ლაკრინევის „რედევის“ შექმნისას!

საბჭოთა თეატრი „რევოლუციის თანამხმირი“ სექტკლავის
ყვალად, ახალი ამოცანის წინაშე იდგა — მას უნდა იყენებინა
თვით რევოლუცია, ამ რევოლუციის შემოქმედი — ახალი საზო-
გადოების ცხოვრება. ამ მიუღის სიგრძე-სიგანი თ დღე იდგურ-
მხატვრული პრობლემა — რომელსაც თვალსაჩინო წარაგებით
გაცვა სასუბი ქართულმა თეატრმა — ადამიანს და რევოლუცია, მას
და ინდივიდი, რევოლუციის გამოცდილება და დღევანდელი.
ამ პრობლემების ვარშუა ბიჭილი მწვევ თორთულე კაშის
თავისებურად, მხატვრულად ემხარებოდნენ თეატრები და ისი
მიხედვით თუ პრობლემის რომელ მხარეს (მაგ. პრობლემა — რე-
ვოლუცია და ადამიანი) ანიჭებდა უპირატესობას, შევადგენდით
მხატვრულ-ესთეტიკური პოეტიკა.

ბრწყინვალე, გენემაბმხელური პანორამა „მისტერია ბუფისა“ —
ეს იმუშათა კლასის მხიარული, სიმბოლური მფარვლობა (ა. ლუ-
ნარსკის) გენიალური რეჟისორის ტ. შეივრილიძის დადებით,
ავტორგონებდა პოლიტიკურ-ავტორიული თეატრის ყველა მიზ-
სა და ახალ მძვარე იმპულსებს იძლეოდა ამ მიმართულებით.
მაგრამ, 20-იან წლებში დადგა პრობლემა ცალკეულ ინდივიდთა,
რევოლუციის უშუალო მოწაწილე ადამიანთა ცხოვრების ჩვენებია,
რადგან დადგა დრო ანალოგისა — რა მოიბანა რევოლუციამ,
როგორ შესცვალა მას თვითონული ადამიანის ბედ-იბადობა, რო-
გორ განსაზღვრა ინდივიდის როლი და ადგილი ისტორიულ ვარა-
ქმანთა ვიკულურდელე პროცესში, თეატრში ეს ახალ ესთეტიკურ
ამოცანებს წამოჭირდა ადამიანის სულიერი ცხოვრების, მისი
ფსიქოლოგიის მთელი სიღრმის ჩვენება შეუძლებელი იყო ზოგად,

სიმბოლური, ავტორიული-საკლავური თეატრის ხერხებით. ამ, ახალ-
თულის დაძლევა შეძლო ე. წ. „ქველ თეატრი“ — რეალისტურ
თეატრს, რომელსაც დიდი გამოცდილება ჰქონდა ადამიანის სუ-
ლიერი ცხოვრების ჩვენებით. მაგრამ, მიუხედავად ამ გამოცდი-
ლებების, სირთულე არ იყო მოხსნილი. ახალი ადამიანი თავის
სულიერი წყნობით, მისწრაფებებით, ერთის სხვათა შორის თავის
ფსიქოლოგიური კონსტრუქციით თვით ფსიქოლოგიურ-რეა-
ლისტური თეატრის მხატვრული ხერხების გადახედვას; და
მის ნიადაგზე ახალი ნოვატორული ხერხების შექმნას მოითხო-
და.

შეშვებითი არ არის, რომ სწორად 20-იან წლებში (1923 წ.)
ა. ლუნარსკიმ წამოაყენა ერთის შეხედვით პარადოქსული იქნა
ლოზუნე „უკან ისტორიისკენ“, რაც იმანად გაგებელი იქნა
როგორც შედეგ, მიმართული „მეზარებულ თეატრებს“ წინა-
აღმდეგ და როგორც დაცვა კლასიკური, რეალისტური ტრადი-
ციებისა. სინამდვილეში — როგორც ეს ეხსავათ თავის სანდრე-
სი წიგნში ა. შულენბერგის „... ვ. ლუნარსკი, „თეატრი და რევი-
ლუცია“ — ამ სიახურით გამოქვეყნებული სტატიის პათოსი მო-
ლოდა ამ ეტრის მომართებით არ იყო გამოწვეული.

«Намечая пути вперед, Луначарский звал назад — «на-
